მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲔᲚᲣᲚᲘ) 1-15 №17 (351) (5771) 2011

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

საქართველოს ებრაელობა შინ და გარეთ

საპატიო ადგილზე

4 სექტემბერს, საღამოს, ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა ელი იშაიმ, რომელმაც ქალიშვილი გაათხოვა, ტრადიციული ტრაპეზი მოაწყო, რომელზეც „შვიდი საქორწილო ლოცვა“ („შევა ბრახოტ“) წარმოითქვა. საპატიო სტუმრები იყვნენ პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ, პარტია „შასის“ სულიერი ლიდერი ოვადია იოსეფი, ვიცე-პრემიერი მოშე იალონი, მშენებლობის მინისტი არიელ ატიასი, დეპუტატები პარტია „შასიდან“ და მაგნატები — ლევ ლევაევი და მიხეილ მირილაშვილი.

ელი იშაიდან მარჯვენა მხარეს ისხდნენ ორი რუსულენოვანი ოლიგარქი — ლევ ლევაევი და მიხეილ მირილაშვილი. საინტერესოა, რომ ისინი იშაისთან რაბინ იოსეფთან უფრო ახლოს ისხდნენ, ვიდრე მინისტრები და დეპუტატები.

საპატიო ადგილები მაგნატებს შემთხვევით არ მიუღიათ. ლევაევი არა მარტო ხაბადის სპონსორია, არამედ დამაკავშირებელი რგოლიც რუსულ და ისრაელურ სტრუქტურებს შორის. 14 ივლისს ჩატარებულ კონფერენციაზე, ლევაევის განსაკუთრებულ როლს, ყოფილ საბჭოთა კავშირში ებრაული ცხოვრების გამოცოცხლების გამო, აღნიშნავდა ყველა ორატორი, მათ შორის ნეთანიაჰუც. უფრო მეტიც, პრემიერი ყველანაირად გამოხატავდა მის თბილ ურთიერთობას ლევაევთან.

ეს ღონისძიება არც მიხეილ მირილაშვილისთვის გამოდგა უსიამოვნო. მანაც მიიღო შექება და დადებითი შეფასებები ნეთანიაჰუსა და თვითონ ლევაევისგანაც. ყოფილი პეტერბურგელი მაგნატისათვის, რომელიც ისრაელში 2009 წელს, რუსეთის ციხეში შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ დამკვიდრდა, კონფერენცია აღიარების კარგი მაგალითი იყო. ასე რომ, ელი იშაის მაგიდასთან მისი საპატიო ადგილი არავის გაკვირვებია.

სწორედ მასზე ითქმის: „ნეფეშ იუდი“

ჩვენი დროის ქართველი ებრაელობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ბენი ატანელოვი 70 წლის გახდა.

კულაშიდან ისრაელს, მერე ნიუ-იორკსა და სწორედ რელიგიური მოსაზრებების გამო, კვლავ ისრაელს დაბრუნებული ბენი ატანელოვი ხასიათდება ყველა იმ თვისებებით, რითაც დაჯილდოებულია ქართველი ებრაელობა: ღვთის სამსახურისკენ მისწრაფება, ტრადიციებისადმი ერთგულება, ეროვნული ინტერესების გათვალისწინება, ოჯახური სიწმინდე, სიკეთის ქმნა.

ბენი ატანელოვი წლების განმავლობაში გახლდათ ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის პრეზიდენტი, შემდეგ კი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენელი ნიუ-იორკში. მან ეს წლები გაიარა ღირსეულად, ემსახურა ჯამაათს, ებრაულ ტრადიციებს, ნიუ-იორკის ებრაელ ახალგაზრდობას შეუქმნა ყველა პირობა საიმისოდ, რომ შეეყვარებინა ღვთის სამსახური, გაეგო თორის სიბრძნე.

ბენი ატანელოვი ხასი ოჯახის მეთაურია. მის ოჯახში ნეფეშ იუდი—ებრაული სულისკვეთება—ტრიალებს, ეს მატებს მის ოჯახს სილამაზეს, მიმზიდველობას.

„მენორას“ რედაქცია 70 წლისთავთან დაკავშირებით სულითა და გულით მიესალმება ბენი ატანელოვს, უსურვებს ბ-ნ ბენის ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კვლავაც ღვთის წესებით ცხოვრებას 120 წლამდე!

რა გადაწყდება 20 სექტემბერს?

ევროკომისიის პოზიცია

ევროკომისიის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელიც სოპოტში 2-3 სექტემბერს დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, გაეროში პალესტინის სახელმწიფოს ცნობის შესახებ ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბების გარეშე დასრულდა.

ევროკომისიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეტრინ ეშტონმა განაცხადა, რომ ევროკომისიას ერთიანი პოზიცია გააჩნია: — ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შეწყვეტა მხოლოდ არაბულ-ისრაელური მოლაპარაკებების შედეგად შეიძლება.

გაეროში პალესტინის საკითხის განხილვამდე მხოლოდ სამი კვირა დარჩა. ჯერ-ჯერობით ევროკომისიის ქვეყნები ძირითად საკითხებზე შეთანხმდნენ: ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკების განახლების საჭიროება და 1967 წლის საზღვრებში ორი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. რამდენიმე მინისტრმა სოპოტში შეხვედრა პოზიტიურად შეაფასა. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდმა თქვა, რომ შეხვედრა ევროკომისიის საერთო პოზიციის ჩამოყალიბებაში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმან პაეტმა, განაცხადა, რომ ევროკომისია ძალიან საკამათო საკითხთან მიმართებაში ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებაზე მუშაობს.

სხვა წყაროები ნაკლებ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. ანონიმურმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა თქვა, რომ ბულგარეთმა, ჩეხეთმა, უნგრეთმა, იტალიამ და ნიდერლანდებმა ევროკომისიას პალესტინის დამოუკიდებლობის ცნობის წინააღმდეგ ხმის მიცემა მოუწოდა. კეტრინ ეშტონმა კი ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა. ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან ალესლბორნმა წევრ სახელმწიფოებს შესთავაზა „ჯენტლმენური შეთანხმება“ — გაეროს სხდომამდე ევროკომისიის პოზიციის დაფიქსირებისგან თავის შეკავება.

რაც შეეხება ევროკომისიის თავმჯდომარე ქვეყანას — პოლონეთს, ექსპერტების აზრით, იგი წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ნებისმიერ წინადადებას მიიღებს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი — გვიდო ვესტერველი, მთელი შეხვედრის განმავლობაში დუმილს ინარჩუნებდა, რამაც კოლეგების დაფიქრება გამოიწვია იმის შესახებ თუ რომელ პოზიციას დაუჭერს მხარს გერმანია.

სოპოტში შეხვედრისას მთავარი პრობლემა მაინც იყო ინფორმაციის ნაკლებობა იმაზე, თუ რა სურს თავად პალესტინას ევროკომისიისაგან. თუ მათ გაეროს სრულფასოვანი წევრობა სურთ, ეს ა.შ.შ-ს ვეტოსა და ევროკომისიის წევრ პროპალესტინური ორიენტაციის ქვეყნებს შორის უთანხმოებას გამოიწვევს. თუ პალესტინა მოითხოვს ვატიკანის სტატუსს — სახელმწიფო, მაგრამ არ იქნება გაეროს წევრი, ეს ვარიანტი ისრაელის მიერ ადრე დადებული სამშვიდობო შეთანხმებების გაუქმებას გამოიწვევს.

ამასთან ერთად, „ჰამასსა“ და „ფათხს“ შორის ურთიერთობის დაძაბვამ, ბოლო დროს ისრაელში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა და ისრაელის მიერ მშენებლობების გაფართოებამ სიტუაციის გაუარესება გამოიწვია. „სიტუაცია ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ დღეს ნათქვამი ხვალ უკვე აღარ არის აქტუალური“, — აღიარა ესტონელმა მინისტრმა პაეტმა.

გერმანიის დიპლომატიური წყაროების ცნობით, იტალია, პოლონეთი და ჩეხეთი პალესტინის გაეროში მიღების წინააღმდეგ წავლენ, იმ დროს, როდესაც ბელგია, კვიპროსი, საბერძნეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია, ესპანეთი და შვედეთი, პალესტინის ცნობას დაუჭერენ მხარს.

სავარაუდოა, რომ საფრანგეთი და სხვა ქვეყნები, დიდი ბრიტანეთის ჩათვლით, პალესტინის სახელმწიფოს დაუჭერენ მხარს, იმ შემთხვევაში თუ ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებები არ განახლდება.

ა.შ.შ-ს კონგრესი გაეროს დაფინანსებას შეწყვეტს

ა.შ.შ-ს კონგრესის შიდა პოლიტიკის კომისიის მეთაური რესპუბლიკელი აირინ როს ლიტიტენი, იმ შემთხვევაში თუ გაეროს წევრი ქვეყნები პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარებას დაუჭერენ მხარს, აპირებს კონგრესში შეიტანოს ინიციატივა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფინანსების შეწყვეტის შესახებ.

როს ლიტიტენის ინიციატივას ორივე პარტიის ბევრი კონგრესმენი უჭერს მხარს.

როგორც ისრაელის ტელევიზიის მეორე არხი იტყობინება, თუ კონგრესმენები დარწმუნდებიან, რომ დიპლომატიური გზებით პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარების შეჩერება შეუძლებელია. კანონპროექტი ამერიკის მხრიდან გაეროსთვის დაფინანსების შეწყვეტის შესახებ, ახლო მომავალში განიხილება.

როს ლიტიტენის კანონპროექტის მიხედვით, ვაშინგტონის ადმინისტრაცია გაეროს ეგიდით დაწყებულ ერთობლივ პროექტებს დააფინანსებს, თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიციასთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში დაფინანსებას შეწყვეტს.

ეკონომიკა

რამდენ მილიონს დათმობენ ებრაელი ბიზნესმენები თავისუფლების სანაცვლოდ?

ებრაელი ბიზნესმენების საქმის ირგვლივ ხმაური არ წყდება. მათი სკანდალური დაკავება 2010 წლის 14 ოქტომბერს ბათუმში მოხდა. ზეევ ფრენკელი და რონი ფუქსი სახელმწიფო მოხელისთვის ქრთამის მიცემაში ამხილეს და თბილისის საქალაქო სასამართლომ ფრენკელს 6 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება, დამატებით, სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, 100.000 ლარის გადახდაც დააკისრა; ხოლო რონი ფუქსს, 7-წლიანი პატიმრობა და დამატებით, 500.000 ლარის გადახდა მიესაჯა. დაკავებულთა ადვოკატმა - არჩილ კბილაშვილმა ბიზნესმენების უდანაშაულობის დამტკიცება და მათი გამართლება თბილისის სააპელაციო სასამართლოში სცადა. სააპელაციო პალატამაც დაასრულა აღნიშნული საქმის განხილვა და განაჩენი უცვლელი დატოვა.

როგორც ცნობილია, 1991 წელს ებრაელ ბიზნესმენებს მაშინდელმა მთავრობამ საქართველოში ნავთობისა და გაზის გადამუშავების ექსკლუზიური უფლება მისცა, მაგრამ 1996 წელს ეს უფლება ჩამოართვა, რადგან ნავთობისა და გაზის კორპორაცია შეიქმნა. ამის შემდეგ ფირმა „ტრამექსმა“ დაკარგული უფლებების აღდგენა ლონდონში, საარბიტრაჟო სასამართლოში სცადა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 100 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

გამოძიების მტკიცებით, ბიზნესმენებს ამ თანხის მიღება სურდათ და, 7 მილიონის სანაცვლოდ, თანხის დროულად მიღებაში დახმარებას ფინანსთა მინისტრის მოადგილეს სთხოვდნენ.

ბრალდებულები კატეგორიულად უარყოფენ ბრალს და ირწმუნებიან, რომ ხელისუფლებამ მათ პროვოკაცია მოუწყო. დანაშაულის პროვოცირებაში ფინანსთა მაშინდელ მინისტრ კახა ბაინდურაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს ადანაშაულებენ.

ადვოკატი არჩილ კბილაშვილი მიიჩნევს, რომ არც სააპელაციო სასამართლოს უცდია რეალობის დადგენა. „გვინდოდა, დაგვეკითხა პრემიერ-მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, მისი მოადგილე, ადვოკატები და თურქი პროფესორი. ამ ადამიანებს საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვთ. რონი ფუქსი პრემიერ-მინისტრის მოწვევით ჩამოვიდა საქართველოში. სპეც-ოპერაციაში მონაწილე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ პროკურატურის დავალება შეასრულა. სამწუხაროდ, ჩვენი შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა. მნიშვნელოვანი იყო თურქი პროფესორის დაკითხვა, რადგან საქმეში მტკიცებულებად დევს თურქეთში ფარულად გადაღებული კადრები. ვაცხადებთ, რომ თურქეთში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ქართველებს არ შეეძლოთ იქაურ სახელმწიფოსთან შეთანხმების გარეშე.

თურქი პროფესორის დასკვნა წარვუდგინეთ სასამართლოს. იქ გარკვევით წერია, რომ ქვეყნებს შორის შეთანხმების არარსებობის პირობებში ასეთი მოქმედების ჩატარება, თურქეთის კანონით, დანაშაულია. კანონის დარღვევით მოპოვებულ დოკუმენტს იურიდიული ძალა არ გააჩნია. მაგრამ, მოსამართლემ ამას ყურადღება არ მიაქცია, - ამბობს ადვოკატი არჩილ კბილაშვილი; იგი ამტკიცებს, რომ ებრაელი ბიზნესმენების დაკავებით, ხელისუფლებას დაკისრებული მილიონების გადახდის თავიდან აცილება სურდა, - სახელმწიფოს 100 მილიონი რომ არ გადაეხადა, ამიტომ შეიმუშავა დანაშაულის პროვოცირების გეგმა. თუ გამოაშკარავდებოდა, რომ გამარჯვებულმა ინვესტორებმა საქართველოში კორუფციული დანაშაული ჩაიდინეს და მათი დაპატიმრება მოხდებოდა, მაშინ შესაძლებელი იყო, თავისუფლების სანაცვლოდ, მათ უარი ეთქვათ მოგებულ 100 მლნ-ზე. ყველაფერი წინასწარ დაიგეგმა, ამ მიზნის მისაღწევად, ძალოვანი სტრუქტურის ოპერატიული თანამშრომელი - ავთანდილ ხარაიძე, პროფესიით იურისტი, ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. მას არანაირი ეკონომიკური განათლება არა აქვს.

ჩვენებაში ხარაიძემ თქვა, რომ ეს მისი პირველი სამსახური იყო და მინისტრის მოადგილედ დაინიშნა იმიტომ, რომ ფინანსთა მინისტრი - ბაინდურაშვილი მისი ბავშვობის მეგობარია. საყურადღებოა ერთი გარემოება: ხარაიძე თანამდებობაზე ბიზნესმენების დაკავებიდან 6 დღით ადრე ინიშნება. ქართულ მხარეს სატელეფონო საუბარი ჰქონდა გამარჯვებულ რონი ფუქსთან და მან გარკვევით თქვა, რომ მოლაპარაკებას მხოლოდ მთავრობის წარმომადგენელთან გამართავდა. ფუქსი გამარჯვებული ინვესტორია. ამ საუბრიდან 3 დღის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს დებულებაში ცვლილება შევიდა და 5 მოადგილის ნაცვლად, სამინისტროში მეექვსე მოადგილის თანამდებობა გაჩნდა. კიდევ 3 დღის შემდეგ, ამ თანამდებობაზე ოპერატიული მუშაკი - ხარაიძე დაინიშნა. მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვამბობთ, რომ ეს ყველაფერი წინასწარ დაიგეგმა. კიდევ უფრო მეტი რწმენის გასაჩენად, ნიკა გილაურმა 2010 წლის 12 ოქტომბერს წერილი მისწერა ბიზნესმენებს და კმაყოფილება გამოთქვა, რომ მათ და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს შორის მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. ამავე წერილით, ნიკა გილაურმა ბიზნესმენები საქართველოში მოიწვია და დაჰპირდა, რომ საარბიტრაჟო დავის მორიგებით დასრულებაზე შესაბამის ხელშეკრულებას ხელს მოაწერდნენ.

მოიწვიეს ფრენკელი და ფუქსი საქართველოში. შეხვდა მინისტრის მოადგილე; მის კაბინეტში გადაღებულია 6 შეხვედრა, სადაც მათ შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. გამოძიებამ 7 ჩანაწერი წარმოადგინა (მეშვიდე სტამბოლშია ჩაწერილი), მაგრამ მთავარი შეხვედრის ჩანაწერი საქმეში არ არსებობს. საუბარია 2010 წლის 1-ელი სექტემბრის შეხვედრაზე, როდესაც ფრენკელი ჩამოვიდა ისრაელიდან და პირველად შეხვდა მინისტრის მოადგილეს. ხარაიძე წინა დღის დანიშნული იყო. ის ამბობს, რომ იმ დღეს ფრენკელმა ფუქსის სახელით მას ქრთამად 7 მილიონი შესთავაზა იმისათვის, რომ მათთვის განკუთვნილი თანხა სწრაფად მიეღოთ. ამ დღეს შედგა მოჩვენებითი შეთანხმება, მინისტრის მოადგილემ 72 მილიონი შესთავაზა, დარჩენილ 28 მილიონზე მათ უარი თქვეს. ამ 72 მლნ-იდან 7 მილიონი უკან უნდა დაებრუნებინათ ებრაელებს მას შემდეგ, რაც ამ თანხას მიიღებდნენ. მართალია, ბრალდების მტკიცებით, ეს 7 მლნ არის ქრთამი, მაგრამ დაკავებულები ამბობენ, რომ ეს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნა იყო - იგი ითხოვდა, 7 მილიონი მათ ინვესტიციაში ჩაედოთ.

ეს იმისთვის იყო გამიზნული, რომ სახელმწიფოს ამხელა თანხის გადახდა გაემართლებინა; გარკვეულ პიარ-აქციას ჩაატარებდნენ და იტყოდნენ, - მართალია, სახელმწიფომ ეს თანხა გადაიხადა, მაგრამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ინვესტიციის სახით, ისევ ქვეყანაში დაბრუნდაო. გამოძიების მტკიცებით, ფინანსთა მინისტრმა მოლაპარაკებების წარმოება ხარაიძეს დაავალა და ამ მოლაპარაკების პროცესში ის დააწინაურეს. დანიშვნიდან მეორე დღეს კი მას ქრთამი შესთავაზეს. არადა, ვხედავთ, საგარეო ურთიერთობებს კურირებს იურისტი ხარაიძე, რომელიც მხოლოდ ქართულად და რუსულად ლაპარაკობს, თან, ფინანსთა სამინისტროს კადრისთვის შეუფერებელ ცოდნას ამჟღავნებს: არ იცის, რას ნიშნავს ფულის მიმოქცევა, საბანკო გარანტია და ა.შ. როცა ასეთი რამ აშკარავდება, ეჭვის საფუძველი არსებობს. ფაქტია, დაგეგმილი პროვოკაცია განხორციელდა. ბოლომდე არ გაუმართლათ. ეს 100 მილიონი ორ ადამიანს ეკუთვნის. მართალია, მოსაწვევი ორივეს გაეგზავნა, მაგრამ მხოლოდ ერთი ბიზნესმენი ჩამოვიდა; მეორეც (ბერძენი ბიზნესმენი, იოანის კარდასოპულოსი იგულისხმება. - ავტ.) რომ დაეკავებინათ, ეს საკითხი ალბათ იოლად გადაწყდებოდა: შესაძლოა, დაპატიმრებულებს თავისუფლების სანაცვლოდ, თანხაზე უარი ეთქვათ. ხელისუფლებას დღეს 100 მილიონი მთლიანად გადასახდელი რჩება“, - განაცხადა ადვოკატმა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ამ სკანდალის გამო, ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. 2010 წლის ოქტომბერში, ოფიციალურად დაგეგმილი, პრემიერ-მინისტრის ვიზიტები ისრაელში ისე გაუქმდა, რომ განმარტებაც არ გაუკეთებიათ ქართული მხარისთვის. მოგვიანებით, პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის გაუქმების მიზეზად, ისრაელის პარლამენტის პრეს-სპიკერმა ბიზნესმენების დაკავება დაასახელა. საკითხი კვლავ გადაუჭრელია. ყველა ღონეს მიმართა დაკავებულის ადვოკატმა და პრეზიდენტს დაკავებულთა შვილების სახელით, მათი შეწყალებაც სთხოვა, მაგრამ ამ განცხადებაზე პასუხი დღემდე არ ჩანს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არბიტრაჟის მიღებული გადაწყვეტილება ივნისიდან უკვე დაექვემდებარა აღსრულებას და 100 მილიონის გადახდა სახელმწიფოს სასწრაფოდ მართებს. ეს ფაქტი დააჩქარებს თუ არა დაკავებულთა ციხიდან გათავისუფლებას და აპირებენ თუ არა თანხის დათმობას თავისუფლების სანაცვლოდ, ამ საკითხის გარკვევა ადვოკატთან ვცადე.

არჩილ კბილაშვილი:

- დაკავებამდე თანხმდებოდნენ 65 მილიონის მიღებას. ახლა, როცა პატიმრობაში არიან, შესაძლოა, კიდევ მეტი დათმონ, მაგრამ მთელ თანხას ვერ დათმობს ფუქსი. თანხის ნახევარი მის პარტნიორს, ბერძენ ბიზნესმენს - იოანის კარდასოპულოსს ეკუთვნის. ვადების გადაცდენის შემთხვევაში, სახელმწიფოს, პროცენტის სახით, თვეში 350 ათასი დოლარის დამატება მოუწევს. ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა ეძებოს შეთანხმების გზები. ფაქტია, თანხა გადასახდელია. როგორც ვიცი, რომში 1-ელ ივნისს ისრაელის პრეზიდენტი კვლავ ესაუბრა ამ თემაზე საქართველოს პრეზიდენტს. საქმის განხილვა გრძელდება. როგორც ვიცი, საუბარი გადასახდელი თანხის შემცირებაზე მიმდინარეობს, მაგრამ - არა განულებაზე. ისრაელის საელჩომ ებრაელი ბიზნესმენების დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოს მიმართ უკმაყოფილება არაერთხელ გამოთქვა. ისინი თავიანთი უდანაშაულო მოქალაქეების დაცვას ბოლომდე გააგრძელებენ.

თეა ხურცილავა
ჟურნალი „გზა“
(გამოდის ხუთშაბათობით)

ყვითელი და წითელი ბარათი?

ქართველი ექსპერტები ფიქრობენ, რომ ოფიციალური იერუსალიმი თბილისს „ხან ყვითელ, ხან კიდევ წითელ ბარათს უჩვენებს“.

19 ივლისს ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბმა, რომელიც ნაციონალური უსაფრთხოების სტრუქტურაში შედის, გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველო ისრაელელებისთვის კვლავ საფრთხეს წარმოადგენს.

ქართველი ექსპერტის უსაფრთხოების საკითხებში ირაკლი სესიაშვილის აზრით, ეს დაკავშირებულია ბიზნესმენების — რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმესთან, რომლებიც საქართველოში სასჯელს იხდიან. ისრაელი ვერ ხედავს პროგრესს მათი გათავისუფლების პროცესში, ამიტომ ახდენს ზეწოლას თბილისზე, განაცხადა ადგილობრივ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას.

„დავსვათ მარტივი კითხვა: რატომ შეგვიყვანა ისრაელმა საშიში ქვეყნების სიაში და შემდეგ რატომ ამოგვშალა? უდავოა, რომ ეს დაკავშირებულია კონფლიქტთან ისრაელსა და საქართველოს შორის, რომელიც ისრაელელი ბიზნესმენების დაკავებამ გამოიწვია. სავარაუდოა, რომ ისრაელის მხრიდან საქართველოს ხელმძღვანელობასთან ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებენ, ზოგიერთში კი — ვერა, სწორედ იმის მიხედვით თუ როგორ მუშაობს შეთანხმების შკალა, ისრაელი საქართველოს ხან ყვითელ, ხან კი წითელ ბარათს უჩვენებს“, — თქვა სესიაშვილმა.

მისი აზრით, საქართველოს „საშიში ქვეყნების“ სიაში დაბრუნება, სხვა მიზეზით ახსნა შეუძლებელია. „ისეთი არაფერი შეცვლილა, რის გამოც, საქართველოში უსაფრთხოების რისკ-ფაქტორები გაიზარდა, ნაცემი ან მოკლულ იქნა ისრაელის მოქალაქე, ან გამოჩნდნენ თალიბები ან სხვა ექსტრემალური დაჯგუფებები? ასეთი არაფერი მომხდარა. დღესაც იგივე ხდება რაც გუშინ. ჩვენ ამას ვხედავთ და ისრაელის სპეც-სამსახურები უფრო უკეთესად ხედავენ. ამიტომ ყველაფერი ისრაელელი ბიზნესმენების საქმეს უკავშირდება“ — თვლის ექსპერტი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტუაცია ნამდვილად არ შეცვლილა. სწორედ ამიტომ, ტერორიზმთან ბრძოლის შტაბმა, აპრილში გამოქვეყნებული რეკომენდაცია არ შეცვალა. მათ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები სარწმუნოა და პოლიტიკური ძალები მათზე ზეგავლენას ვერ ახდენენ. როგორც კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლები აცხადებენ, საქართველოს ისრაელელი მოქალაქეებისთვის საშიში ქვეყნების სიაში შეყვანა საქართველოსა და ირანს შორის უვიზო რეჟიმის შემოღებამ გამოიწვია.

მე, „ურიას“, მომეცი ნება, გითხრა: ცუდ სამსახურს უწევ საქართველოს, ქართველ ხალხს...

„დღეს მთავრობაში რამდენი წევრიც გინდა, იმდენი სომეხია და ურიებიც არიან. დავით კეზერაშვილი ურიაა.. როგორ, ისრაელში ვინმე თავდაცვის მინისტრად ქართველს დანიშნავს? ის იაკობაშვილი, რომელიც ადრე ახალგაზრდა სიონისტი იყო, როგორ ბედავს პროვოკაციული განცხადებების კეთებას? მაგ ურიას ამდენის ნებას რატომ ვაძლევთ? ამ ერთი ბეწო საქართველოს თავზე ასხედან სომხები, ებრაელები და რუსები. ქართველებს გვეშინია სომხები და ურია თანამდებობაზე რომ არ დავნიშნოთ, ნაციონალისტობას დაგვაბრალებენო, დამაბრალონ, კაცო! მე ბევრი ურიისთვის ყბაში გამილაწუნებია... რადგან ძალიან ბევრს ხტუნაობს“.

ეს „დიდი შინაგანი კულტურისა და ღირსების“ დასტური სტრიქონები გურამ პეტრიაშვილს ეკუთვნის. (იხ. „ასავალ-დასავალი“ ივლისი, 2011 წ.)

ამ ერთი თვის წინათ მეგობარმა კაცმა მთხოვა, ერთი ჩახედე ,,ასავალ-დასავალს“, რას წერს პეტრიაშვილი ებრაელებზეო. სასოწარკვეთილი იყო: „რა უნდა ვთქვათ, ან რა მოვიმოქმედოთ, როცა დღევანდელ საქართველოში ასეთი რამ ითქმება და იბეჭდება, დღეს, როცა ებრაელობა დღითიდღე მცირდება საქართველოში, ასე ჯამდება ჩვენი აქ ყოფნა?“. ვხვდებოდი, მეგობრის გულისტკივილის მიზეზს (ძნელი ასატანია, როცა აუგად გიხსენებენ ერს, ლანძღვა-ქოქოლას მოგაგებენ) და მიზანსაც (ეწადა, ვინმეს პასუხი გაეცა ებრაელთა ამ ავადმახსენებლისათვის).

გუნება მეც წამიხდა და აი, რატომ: ამ კაცმა – გ. პეტრიაშვილმა – თავისი წინდაუხედაობის გამო, არა იმდენად ებრაელობას, რამდენადაც საქართველოს, ქართველობას გაუწია ცუდი სამსახური – ქართველი კაცი შეურაცხყო. მან ის გააკეთა, რასაც ჭეშმარიტი ქართველები, ესენი ხომ სულიერებით, სიდარბაისლით არიან აღვსილნი, არ აკეთებდნენ, არც დღეს აკეთებენ. გ. პეტრიაშვილის ხმა კი შავრაზმული რუსეთიდან მოსულ ხმად ჩამესმა და მეგობარი დავამშვიდე; ეგ ქართველობა არ არი, ეგ შორიდან მომავალი ხმა არის-მეთქი.

გურამ პეტრიაშვილი 1990 წლის მოწვევის საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი გახლდათ, ანუ როგორც ხალხი ეძახის, ზ. გამსახურდიას პარლამენტის წევრი. მრავალი ლექსის ავტორი, მოთხრობებისაც, კინოშიც უთამაშნია. 1992 წელს, იანვარში გამსახურდიას ხელისუფლებასთან ერთად, საქართველო დატოვა. როგორც გავიგე, უკან დაბრუნებულა.

ახლა კი ,,ასავალ-დასავალის“ პუბლიკაციიდან გამომდინარე, იმაზე ვისაუბროთ, თუ რა იცის და რა არ იცის, გურამ პეტრიაშვილმა.

რა იცის გურამ პეტრიაშვილმა:

ა) გურამ პეტრიაშვილმა იცის თავისი იმპულსური, გაუაზრებელი (თუ მზაკვრულად გააზრებული?) განცხადებებით, როგორ შელახოს ქართველი კაცის ღირსება, ლაფში ამოსვაროს ქართველი კაცის კეთილშობილება, სულიერება, ისე იქცევა, თითქოს არც არსებულა ქართული სულიერება. და ამას აკეთებს სხვა ერების ლანძღვით, აკეთებს ქართველი კაცის სახელით.

ბ) გურამ პეტრიაშვილმა იცის, როგორ, რანაირად დათესოს და გააღვივოს შუღლი ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს შორის. ეს კი უწინარესად, საქართველოს უწევს ძალიან ცუდ სამსახურს. ამ მხრივ დაგროვილ ცუდ გამოცდილებას არად დაგიდევს – მაინც თავისას განაგრძობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ არა მხოლოდ მას, კიდევ ვიღაც სხვას სჭირდება ქართველი ლანძღავდეს სომეხს, ლანძღავდეს ებრაელს, ლანძღავდეს რუსს. სჭირდება იმისთვის, რომ ხვალ საქართველოსადმი, ქართველი კაცისადმი აგრესია გაამართლოს: ,,აი, ხომ ხედავთ, როგორი ხალხია ქართველობა, როგორ ლანძღავენ, აძაგებენ სხვა ერებს!“

გ) გ. პეტრიაშვილი ეძებს საიმისო გზებს, საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები როგორ აქციოს საქართველოს მტრებად. საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები მხოლოდ წინდახედულ ადამიანთაგან როდი შედგება, ამათ შორისაც არიან უმეცარნი, აგრესიულნი, ისევე როგორც სხვა ერებში. ბევრი ცალტვინა წამოეგო გ. პეტრიაშვილისნაირთა ანკესს – საქართველოს ტყვია ესროლა. სწორედ ამგვარმა შეძახილებმა, გამოსვლებმა, განცხადებებმა აფხაზთა, ოსთა შორის აღაზევა კაენის სული, ეშმა გააღვიძა. სამწუხაროდ, იგი ფლობს ადამიანების, ერების მტრად ქცევის საძაგელ ცოდნას.

ებრაელთა შორის არაფერი გამოუვა. ქართველი კაცის სახელით, ვითომ საქართველოს დასაცავად, რამდენიც არ უნდა ლანძღოს ებრაელობა, ჩვენში ვერც ეგ და ვერც ათასი პეტრიაშვილი, ეშმას ვერ გააღვიძებს, კაენის სულს ვერ აღაზევებს.

დ) გ. პეტრიაშვილმა იცის ქადილი: „ურიებისთვის ყბაში გამილაწუნებიაო“. თუ გ. პეტრიაშვილი ამ გალაწუნებაში იმას გულისხმობს, რაც მისი დეპუტატობის ჟამს ხდებოდა, ეს ყბაში გალაწუნება კი არა, ძარცვარბევა იყო. დამოუკიდებლობისათვის იარაღი გვჭირდება, იარაღს კი უფულოდ არავინ იძლევაო და ოჯახებს მიადგნენ. ამათ შორის ებრაელთა ოჯახებიც იყო. დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბევრი ისეთი ქართველი ებრაელი ცხოვრობს, შიშველ-ტიტველი რომ გააქციეს საქართველოდან, ოღონდ სიცოცხლე გადავირჩინოო და არაფერს დაგიდევდნენ.

თუ ეს გურამ პეტრიაშვილი ასეთი გამლაწუნებელი ბიჭია, უკრაინაში ჯდომას და სალის ჭამას, არ სჯობდა, სამი წლის წინ, ათ აგვისტოში, როცა ჩვენ გვილაწუნებდნენ, აქ ჩამოსულიყო და მტრებისთვის გაელაწუნებინა? თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გ. პეტრიაშვილისა და ჩვენი გამლაწუნებლის იდეოლოგიათა შორის, დიდი სხვაობა არ არის – ეგენი სულიერი ძმები არიან.

ახლა იმის თაობაზე, თუ რა არ იცის გურამ პეტრიაშვილმა:

ა) გ. პეტრიაშვილმა არ იცის, რომ დავით კეზერაშვილი ურია კი არა, ებრაელია. მე არ ვიცნობ და ბევრი რამ არ შემიძლია ვთქვა მის პიროვნულ თვისებებზე, მაგრამ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ დავით კეზერაშვილი დიდი ერის შვილია, ერთი რიგითი წარმომადგენელი იმ ერისა, რომელმაც საქართველოში მონოთეიზმი მოიტანა. საქართველომ ერთი ღმერთის რწმენის მიღებით დიდი ნაბიჯი გადადგა ცივილიზაციის გზაზე; სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, ებრაელი ლონგინოზი, აბიათარი, სიდონია და სხვ. საქართველოს პროგრესის სათავეებთან დგანან. საქართველოს ისტორიაში ჩახედულმა კაცმა უნდა იცოდეს, თუ რა მისია შეასრულეს ებრაელებმა საქართველოს მოქცევის პროცესში. ეს მისია ძვირფასია ყოველი მამულიშვილისათვის. მე კი ებრაელ კაცს, ნება მომეცით, მეამაყებოდეს ის, თუ როგორი ღირსებით, ქართველობისადმი უღალატოდ იცხოვრა საქართველოში ებრაელმა კაცმა.

ბ) გ. პეტრიაშვილმა არ იცის, რომ თემურ იაკობაშვილი არასოდეს ყოფილა სიონისტი, იგი იყო მსოფლიოს ებრაელ სტუდენტთა კავშირის წევრი. ზედაპირული განცხადებებით ქართველი მკითხველის მოტყუება, ერესის გაღვივება კი არა, არსში წვდომა—სწორი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო. იმასაც დავსძენ: თემურ იაკობაშვილი საქართველოს ისეთივე ღირსეული და ერთგული შვილია, როგორც ტრადიციულად იყვნენ და არიან ებრაელები. ამასთან იგი ზოგიერთისგან განსხვავებით, ერთობ ინტელექტუალური პიროვნებაც გახლავთ და არ გაჰკივის ქართული წყაროები უცხოელებს არ მივყიდოთო.

გ) გ. პეტრიაშვილმა არ იცის, რომ სიონიზმი ერთობ პროგრესული მოძღვრებაა, იგი ქადაგებს მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელების სამშობლოში, როგორც კ. გამსახურდია წერდა, „სიონის ბჭეში დაბრუნებას“. ამდენად, შესაძლოა, გ. პეტრიაშვილი მივიჩნიოთ სიონისტად – მისი სიონი საქართველოა. მრავალწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდაო საქართველოს. სიონიზმი სამშობლოში დაბრუნების იდეოლოგიაა.

დ) გ. პეტრიაშვილმა არ იცის, რომ სიონიზმს, რომელსაც ასე ჰაიჰარად განაქიქებს, მხარს უჭერდა მე-20 საუკუნის დამდეგის ქართული ინტელიგენცია, სიონიზმის იდეოლოგიას ღირსეულად აფასებდა კ. გამსახურდია. ამ თემაზე შეგიძლიათ იხილოთ ჩემი წერილი. („ასავალ-დასავალი“ 2008 წლის აგვისტო.) ეს წერილი გ. პეტრიაშვილის სულიერი ძმის – კლიმოვის ანტისემიტურმა პუბლიკაციებმა დამაწერინა (თუნდაც დაგვიანებით, როგორ არ ვთქვა მადლობა ,,ასავალ-დასავალის“ რედაქტორის – ლაშა ნადარეიშვილის მიმართ: ჩემი წერილის მიღების შემდეგ კლიმოვის ანტისემიტური სტატიების პუბლიკაცია შეწყვიტა. აქვე გამოვთქვამ გაოცებას იმის გამო, რომ ამავე გაზეთმა არ ისურვა წინამდებარე სტატიის დაბეჭდვა, რომელიც მას 14 აგვისტოს გადაეგზავნა).

ე) სიონიზმის გ. პეტრიაშვილისეული გაგება, მისადმი აგრესიული დამოკიდებულება თითქმის არ განსხვავდება რუსული შოვინიზმის ლიდერების გაგებისა და დამოკიდებულებისაგან. გ. პეტრიაშვილი მათს კვალში დგას.

ვ) გ. პეტრიაშვილმა არ იცის, ვერ ამჩნევს, რომ შორეულ წარსულში ჩარჩენილა – ჩვენს დროში მთელ მსოფლიოში, საქართველო კი მსოფლიოს შემადგენელი (და თვალსაჩინო!) ნაწილია, უმაღლეს სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე ნიშნავენ არა ეროვნული, არამედ პარტიული კუთვნილების მიხედვით, (ივლისიდან მოყოლებული ისრაელში ხელისუფლების წინააღმდეგ მრავალათასიანი დემონსტრაციები იმართება. ამ დემონსტრაცია-მიტინგებს მემარცხენე ამერიკელი ებრაელი მულტიმილიონერი დენიელ ევრაჰამი აფინანსებს: ისრაელის მემარჯვენე – ბინიამინ ნეთანიაჰუს მთავრობა უნდა დავამხოო). ასე რომ არა ეროვნული, პარტიული კუთვნილებაა მთავარი.

ზ) გ. პეტრიაშვილი შესძახებს, ქართველი კაცი ისრაელში რომ ჩავიდეს, თავდაცვის მინისტრად ვინ დანიშნავსო. შემიძლია დავამშვიდო: თუ ისრაელში დამკვიდრებული ქართველი კაცი იქნება ქვეყნის ერთგული, ებრაელი ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარე, გაამდიდრებს მის სულიერებას, ე.ი. 26 საუკუნის განმავლობაში იცხოვრებს ისე, როგორც ებრაელობა ცხოვრობს საქართველოში და თავისი პარტიის დიდი აქტივისტიც გამოდგება, ისე როგორც ზემოთ ნახსენები თანამედროვე ქართველი ებრაელები დ.კეზერაშვილი და თ.იაკობაშვილი არიან ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, ან თავად პეტრიაშვილი იყო ,,მრგვალი მაგიდის“ აქტივისტი, უსათუოდ დანიშნავენ თავდაცვის მინისტრად, მაგრამ თუ ეს კაცი ხალხთა შორის შუღლს, მტრობას გააღვივებს, ეტყვიან:

— შენ ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგია არ გესმის და მიბრძანდი!

იმედი მაქვს, მალე დადგება ის დღე, როცა საქართველოშიც ჩამოყალიბდება ერთიანი საზოგადოებრივი აზრი და ვისაც ჯერ არს, იმას ეტყვიან, რასაც იმსახურებს.

თ) გ.პეტრიაშვილს ვერავინ დააბრალებს ნაციონალისტი ხარო, ეს არ იქნება სწორი. იგი არის ნაციონალისტი.

ერთი მოგონება: როგორც ზემოთ ითქვა, გ. პეტრიაშვილი ზ. გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს წევრი იყო. 1990 წლის დეკემბრის დამდეგს, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, უზენაეს საბჭოში ბ-ნ ზვიადთან მქონდა შეხვედრა. შინაარსიანმა, გულითადმა საუბარმა საქართველოს პრობლემებზე, ქართველ ებრაელობაზე ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა და ჩემზე ერთობ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. უზენაესი საბჭოდან გამოსვლისას, გასახდელში, პალტოს რომ ვიცმევდი, გურამ პეტრიაშვილი შემხვდა. ერთმანეთს მივესალმეთ. ვუთხარი: ბატონ ზვიადთან ვიყავი, ძალიან კარგი საუბარი იყო-მეთქი. მერე ამხანაგურად გავუზიარე ერთი ასეთი მოსაზრება:

– გურამ, იგი ექსტრემალურ სიტუაციაში, დიდი წნეხის ქვეშ არის მოქცეული. ამიტომ, როცა იტყვის: ეს ოპოზიციონერი დავიჭიროთ, ის ციხეში ჩავაგდოთ, ქვეყნიდან გავაძევოთ, იქნებ, უცებ არ დათანხმებულიყავით და გეთქვათ: „მოდით, მაგ საკითხზე ხვალ-ზეგაც ვიმსჯელოთ“.

გურამმა ხელი აიქნია, აბა, რას ლაპარაკობო. დღეს ჩვენ ვხედავთ ნაჩქარევმა, გაუაზრებელმა, მოუფიქრებელმა ქმედებებმა სანამდე მიიყვანა საქართველო.

ზოგიერთი დღესაც იმავე ჰანგზე მღერის!

ნუთუ, დრომ არაფერი ასწავლა?

გურამ გათიაშვილი

წინასწარმეტყველები და წინასწარმეტყველური ლიტერატურა

შალომ დავიდი

რედაქტორისაგან: თანამედროვე ქართველ ებრაელობას ბევრი გამორჩეული მოღვაწე ამშვენებს: მეცნიერები, შემოქმედნი, ბიზნესმენები, ქველმოქმედნი, ტექნიკის მოღვაწენი, რომელთა სახელი ძირეულადაა დაკავშირებული თანამედროვე ქართველი ებრალობის ავტორიტეტთან, ისინი ღირსებას მატებენ ერს. ამათ შორის გამოირჩევა შალომ დავიდი – უბადლო მთარგმნელი, თეოლოგი, ამასთანავე შესანიშნავი მოღვაწე.

შალომ დავიდს (დავითაშვილს) მრავალი საყურადღებო, ანგარიშგასაწევი შრომა შეუქმნია. დღეს გვსურს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ჰაფტარების წიგნის მისეულ შესავალზე.

2003 წელს შალომ დავიდმა გამოსცა ჰაფტარების ქართული თარგმანი, რომელიც თავისი მშობლების ხსოვნას მიუძღვნა. ამ წიგნს უძღვის ვრცელი შესავალი წერილი „წინასწარმეტყველები და წინასწარმეტყველური ლიტერატურა“. ეს შესავალი წერილი იმოდენა სიღრმით, საკითხის ისეთი ანალიზით ხასიათდება, ნებისმიერი ღირსეული მეცნიერი მოაწერდა ხელს. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ „მენორას“ მკითხველს შევთავაზოთ ეს შესავალი, შალომ დავიდს კი ვუსურვოთ კვლავაც საინტერესო შრომებით გაემდიდრებინოს ქართველ ებრაელთა რელიგიათმცოდნეობა.

ბიბლიურ-თანახისეულ პერიოდში ებრაელი ხალხის ლიტერატურული შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი სიტყვიერად ვრცელდებოდა თაობიდან თაობაში; ამის გამო, საკმაოდ ძნელია მისი ისტორიული განვითარების სტადიის დადგენა. ამ სფეროში ფრიად მნიშვნელოვან შრომებად მიჩნეული იყო გერმანელი ისტორიკოსის და თეოლოგის ველჰაუზენის თხზულებანი, მე-19 საუკუნის მიწურულში რომ გამოქვეყნდა.

რჩებოდა რა ევოლუციური თეორიის ფარგლებში, ველჰაუზენი შეეცადა რელიგიის გართულება წარმოესახა ისრაელთა მიერ თავიანთ მეზობელ-ქენაანელთა საკულტო ადათ-წესების გადმოტანით. წინასწარმეტყველებმა პრიმიტიული კერპთაყვანისმცემლობა გარდაქმნეს უზენაეს ტომობრივ ღმერთად და თანამიმდევრული მონოთეიზმის განვითარებულ რელიგიადო. მხოლოდ წინასწარმეტყველებმა შექმნეს მონოთეიზმი და არა მათმა წინამორბედებმაო.

ეს წინაპირობა თუმცა ტენდენციურად წარმოჩინდა, მაგრამ მაინც გამოიყურებოდა მწყობრად და მკაფიოდ. თანამიმდევრობა იყო ლოგიკური, ხოლო ისრაელის რეკონსტრუირებული ისტორია – მეცნიერულად მიმზიდველი. ახალი მიდგომა, რომელიც განთავისუფლდა უწინდელი ტრადიციული შეხედულებისაგან, თითქოს-და გამოირჩეოდა ფართო დიაპაზონით და ბიბლიური კრიტიკის დაახლოების შესაძლებლობას ქმნიდა იმ დროის რესპექტაბელურ მეცნიერულ წრეებთან.

მაგრამ მამხილებელმა ძალებმა, რომლის შესახებ წარმოდგენა არა ჰქონდათ ახალი მიდგომის შემქმნელებს, ამ ნაგებობას ძირი გამოუთხარეს იმგვარად, როგორც იგი ააგეს. პირველი მანიშნებელი გამოჩნდა 1887 წელს, როდესაც აღმოაჩინეს თელ-ელ-ამრანის დამწერლობა. ეს – იეროგლიფურ ცხრილთა მდიდარი კრებულია, რომელიც შეიცავს ძველი ეგვიპტის დიპლომატთა მიმოწერას ბაბილონის, ასირიისა და ფელისტიმის ელჩებთან. განცვიფრებულ მეცნიერთა თვალთა წინაშე გადაიშალა ახლო აღმოსავლეთის მაღალგანვითარებული კულტურა, რომლის არსებობა ჩვენს ერამდე მე-14 საუკუნეში არც კი შეეძლოთ რომ ევარაუდათ.

იმ ხანაში არსებულმა პოპულარულმა თეორიამ გამანადგურებელი დარტყმა განიცადა. ახალი აღმოჩენის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ ბიბლიურ-თანახისეული თხრობა პატრიარქთა შესახებ სრული ნდობით უნდა აღექვათ. და არ არსებობდა საფუძველი, რომ ბიბლიური დოკუმენტი მიეჩნიათ ქმნილებად იმ მწერლისა, რომელიც გაცილებით უფრო გვიან ცხოვრობდა.

აღმოჩნდა მაღალგანვითარებული ინტელექტის, დიპლომატიის, ხელოვნების და ხელოსნობა-სოვდაგრობის სამყარო. ეს ყოველივე მეტყველებდა, რომ ძველი ისრაელის ისტორია ღრმადაა დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის კულტურასა და წარსულთან. ამ აღმოჩენებს ხელი უნდა შეეწყო ახალ შეხედულებათა ფორმირებისათვის, რომელიც მიეძღვნებოდა ისრაელის ისტორიის შესწავლის მეთოდებს. დღის წესრიგში იდგა ველჰაუზენის შეხედულებათა რადიკალური გადასინჯვის საკითხი.

ისტორიული მეცნიერების ავანსცენაზე გამოდის არქეოლოგია. გათხრები კვლავ და კვლავ იძლეოდა მოწმობას, რომელიც მთელი სიცხადით ამტკიცებდა „ბერეშითის“ („დაბადების“) წიგნის უტყუარობასა და ავთენტიკურობას. ბიბლიურ გადმოცემათა მოქმედების დროსა და ადგილს წარმოადგენს ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულის ჩრდილო-დასავლეთი მესოპოტამია. ამ ფაქტის სიმართლე დამტკიცდა ნუზუსა და მარის აღმოჩენებით, რამაც კვლავ ახადა ფარდა რთული ცივილიზაციის ეპოქას თავისი გაფურჩქნილი მეცნიერებითა და ლიტერატურით, მართვის მყარი სისტემით, განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და მზარდი ეკონომიკით.

ნუზუს გათხრების დროს (1925-31 წ.წ.) მიკვლეულმა მასალებმა სერიოზული გავლენა მოახდინა ბიბლიის ჩვენეულ გაგებაზე. აღმოჩენილ იქნა ათასობით ტექსტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ახლებურად წარმოვსახოთ ამ ეპოქის სოციალური წესები. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეცნიერთათვის გამოცანად რჩებოდა თორისეული გადმოცემა იმის თაობაზე, თუ რა მოიტაცა რახელმა თავისი მამის „კერპ-თერაფიმები“ (ბერეშით – დაბადება, 31, 29:30). ნუზუში აღმოჩენილი ტექსტები შეიცავდა საინტერესო კომენტარებს: საკუთრება, როგორც დადგინდა, გარკვეულ გარემოებათა პირობებში შესაძლებელი იყო გადასცემოდა სიძეს, მაგრამ ამ აქტს რომ შეეძინა კანონიერი ძალა, მამას თავისი ასულის ქმრისათვის უნდა გადაეცა საოჯახო კერპები – თერაფიმები. მეორე მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ბერეშითის“ („დაბადების წიგნის“) ის ადგილი, რომელიც იწვევს განცვიფრებას (11, 10:20 – 20, 2:6 – 26:1), სადაც პატრიარქის ცოლი წოდებულია მის დად. ნუზუს გათხრების მონაცემებმა გვიჩვენეს, რომ ქორწინების სიწმინდე მაღლდებოდა, თუ ცოლს მიენიჭებოდა დის კანონიერი სტატუსი, ხოლო სიტყვები „ცოლი“ და „და“ ზოგიერთი მიმართებით გამოიყენებოდა როგორც ტოლმნიშვნელობიანი გამოთქმა. მაშასადამე, თავიანთ ცოლებს უწოდებდნენ რა დებს, აბრაამი და იცხაკი, სინამდვილეში, ამით განადიდებდნენ და იცავდნენ მათ.

ნუზუს ტექსტებში ხაზგასმულია შვილად აყვანის თემა. უშვილო წყვილები მემკვიდრეს დათქმით იყვანდნენ შვილად, რომ იგი უარს იტყოდა თავის პრივილეგიებზე, თუ შემდგომში მათ შეეძინებოდათ შვილი. ეს განმარტავს ელიეზერისა და აბრაამის ურთიერთობას.

აღმოჩენილი ცხრილები აგრეთვე შუქს ჰფენს იაკობისა და ესავის უთანხმოებას მამის კურთხევის თაობაზე. ამ ტექსტებში აღნუსხული პირობების მიხედვით პირველშობილის უფლების დადგენა შეიძლებოდა მამის გადაწყვეტილებით. მიუხედავად იმისა თუ როდის დაებადა ბავშვი. გარდა ამისა, განსაკუთრებულ სიწმინდესა და ძალას მაშინ იძენდა კურთხევა, რაჟამს მას შვილისთვის აღავლენდა სასიკვდილო სარეცელზე მყოფი მამა.

ზემოთ ხსენებულ ეპოქაში მარის გათხრებმა შექმნა უფრო ღრმა შეღწევის შესაძლებლობა. ისტორიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, რელიგიათმცოდნეობისა და ლინგვისტიკის ახალმა მონაცემებმა დაამტკიცეს „ბერეშითის“ („დაბადების“) წიგნის გადმოცემათა ისტორიულობა.

ბიბლიური კრიტიკის ერთ-ერთ ძირითად სისუსტეს წარმოადგენდა მისი მიდრეკილება მოდერნიზაციისადმი – ძველ მსოფლიოზე მსჯელობა თანამედროვე შეხედულებისა და წარმოდგენების პოზიციიდან. არ გაკეთებულა არავითარი ცდა ბიბლიური სამყაროს ხასიათისა და ზნე-ჩვეულებათა ნათელყოფისათვის.

არქეოლოგიურ გათხრებში გამოვლენილმა მატერიალური კულტურის მონაცემებმა, ერთი მხრივ, დაამტკიცეს ბიბლიის კრიტიკოსთა მთელი რიგი ჰიპოთეზების უსაფუძვლობა, ხოლო მეორეს მხრივ გამოაწიაღეს თანახისეულ-ბიბლიურ გადმოცემათა ჭეშმარიტება. ასე მაგალითად, საკულტო-სამოძღვრო კოდექსი, რომელიც ველჰაუზენის დროიდან მიჩნეული იყო ბაბილონის განდევნილობის პერიოდის ანდა მისი მომიჯნავე ეპოქის ქმნილებად, დადგინდა, რომ სინამდვილეში ის გაცილებით ძველია და არ არის დაკავშირებული მხოლოდ მეორე სჯულდების წიგნთან (საყოველთაოდ მიღებული აზრით ჩვენს ერამდე მე-7 საუკუნეს რომ ეკუთვნოდა). შეიძლება დადასტურდეს უაღრესი უტყუარობით, ბიბლიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა, რომელიც წარმოსახავს ბრძენთა სწავლება-დამოძღვრას და დაკავებულია ამ ეპოქის ეთიკურ-რელიგიური საკითხებით – იგავებით, იობის წიგნებით, სპარსულ და ელინისტურ პერიოდებს რომ მიაკუთვნებდნენ, გაცილებით უფრო ძველია. ბიბლიურ-თანახისეული პოეზია და უწინარეს ყოვლისა, საგალობლები, მე-19 საუკუნის მრავალ მკვლევართა მიერ რომ იყო მოხსენიებული მაქაბელთა ეპოქის ქმნილებათა შორის, გაცილებით უფრო ძველი წარმომავლობისაა და ისინი მიეკუთვნებიან დავითის, შლომოს და მათი სამეფო კარის ღვთივშთაგონებულ მგოსნებსა და მხატვრული სიტყვის სწორუპოვარ ოსტატებს.

და მაინც თანახისეულ ლიტერატურაში არის ერთი განყოფილება, რომელიც შესაძლოა, თვით ბიბლიურ წყაროებზე დაყრდნობით, უყოყმანოდ მივაკუთვნოთ განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას. ეს განყოფილება – წინასწარმეტყველური ლიტერატურაა.

თანახში მოცემულ სხვა ქმნილებებთაგან განსხვავებით, ეს ლიტერატურა არ არის ანონიმური. მისი შემოქმედნი არიან ის ისტორიული პიროვნებანი, რომელთა სახელები და ქმედებანი მოხსენიებულია მატიანესა და ქრონიკებში.

წინასწარმეტყველთა მოღვაწეობამ, შემოქმედებამ, უდიდესი გავლენა მოახდინა თავისი დროის სასულიერო ცხოვრებაზე და ღრმა დაღი დაასვა შემდგომ ეპოქათა კულტურას. მაგრამ წინასწარმეტყველთა მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ითამაშეს მათ, თავიანთი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში.

წინასწარმეტყველება უძველესი დროიდან წარმოჩნდა გავლენიან საზოგადოებრივ ფაქტორად. თუმცა ის არავითარ ოფიციალურ ფუნქციას არ ასრულებდა ხალხის მართვაში, სატაძრო ღვთისმსახურებაში, როგორც ქოჰენ-მოძღვარნი, ანდა ლევიელნი, ვით მსაჯულნი და მეფენი. ისინი მკვეთრად რეაგირებდნენ, გულისხმიერად ეხმიანებოდნენ თავიანთ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს და ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, რამეთუ მოსილნი იყვნენ ზეგარდმო ნიჭით.

ჩვენს ერამდე მე-9 საუკუნიდან მოყოლებული წინასწარმეტყველთა ქადაგება, ერთი მხრივ წარმართული იყო სოციალური უსამართლობის – უკანონობის, ღარიბთა შევიწროების, სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობის და მდიდარ ფენათა წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ – ქენაანური, უცხორელიგიური, კულტურული გავლენებისადმი მკვეთრი დაპირისპირებისაკენ.

წინასწარმეტყველებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. საუბარი მიმდინარეობს თავისებურ სახალხო ბელადებზე, რომელთა დაყოფა შეიძლება ორ კატეგორიად. პირველ კატეგორიად გვევლინება – „ხევერ ნევიიმ“ („წინასწარმეტყველთა თანამეგობრობა“) და მათი ხელმძღვანელობა, ელიაჰუსა და ელიშას სახით. ამ წინასწარმეტყველთა მოღვაწეობა მიეკუთვნება ჩვენს ერამდე მე-9 საუკუნის შუაგულს.

მათმა ქადაგებამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. წინასწარმეტყველთა მეორე კატეგორია მიჩნეულია ეგრეთ წოდებულ „სამწერლო წინასწარმეტყველებად“, რომელიც ლიტერატურული და ისტორიული თვალთახედვით წარმოსახულია დიდი ღირებულების მქონე სიტყვაკაზმულობისა და ქადაგების კრებულები. მათგან ყველაზე ცნობილ წინასწარმეტყველებად გვევლინებიან: – ამოსი, იეშაია და ირმეიაჰუ. იაროვამ მეორის მეფობის დროს, პირველ „წერით“ წინასწარმეტყველად მოგვევლინა – ამოსი, ხოლო ირემიაჰუ იყო იეჰუდას სამეფოს დაცემის მოწმე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს უკანასკნელი წინასწარმეტყველი.

წინასწარმეტყველთა ეს ორი კატეგორია ურთიერთისაგან განსხვავდება არა მარტო იმით, რომ მათი მოღვაწეობა მიმდინარეობდა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, არამედ ქმედების ფორმაშინაარსითაც. პირველი კატეგორიის წინასწარმეტყველები აქტიურობას ავლენდნენ, ძირითადად, პოლიტიკურ სფეროში. ისრაელში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა მათი მონაწილეობა სამეფო დინასტიის შეცვლისათვის. ისინი ხალხს მოუწოდებდნენ გარე მტრებთან ბრძოლისაკენ. ამოსიდან მოყოლებული „წერითი“ წინასწარმეტყველნიც მსგავს იდეალთა ქომაგნი იყვნენ და აღაფრთოვანებდნენ ხალხს, მაგრამ გაცილებით ფართო, ყოვლისმომცველი იყო მათი განსჯა, მათი თვალსაწიერი. მათ ქადაგებათა ლიტერატურული გაფორმება აღწევს უმაღლეს პოეტურ დონეს.

„წინასწარმეტყველური თანამეგობრობის“ წინამძღვრები, ელიაჰუ და ელიშა, რომელთა სახეები ნათლად გამოკვეთა თანახმა, ისრაელში მოღვაწეობდნენ ჩვენს ერამდე მე-9 საუკუნეში. წინასწარმეტყველთა გადმოცემის ციკლის მიხედვით, მეფეთა პირველი წიგნის მე-17 თავში რომ არის დაცული, ელიაჰუს ძალა და გავლენა მიმართული იყო წინააღმდეგ ფინიკიური კულტურისა, რომელიც იზებელ დედოფალმა შემოიტანა ისრაელში. ამასთან ერთად, ელიაჰუ აშკარად ილაშქრებს მეფის თვითნებობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ნავოთის თაობაზე თხრობა (მეფეთა პირველი წიგნი, თავი 21) ელიაჰუს წარმოსახავს თავისუფლებისა და მართლზომიერების ქომაგად, რომელიც უპირისპირდება მეფის უკანონო მოთხოვნებს.

თანახისეულ-ბიბლიური თხრობის თანახმად, მეფე ახავს მოეწონა ნავოთის ვენახი. იზებელის წაქეზებით, ცრუმოწმეთა მიერ ცილდაწამებული ნავოთი სიკვდილით დასაჯა მეფემ და კონფისკებულ იქნა მისი ვენახი, რომელიც ეკრა მეფის სასახლეს. ეს ეპიზოდი მოწმობს იმ ძირითად ცვლილებაზე, ისრაელში რომ მიმდინარეობდა ახავისა და იზებელის მეფობის დროს, რაჟამს უხუცესობა სავსებით ემორჩილებოდა მეფის ნებას. უხუცესთა ინსტიტუტი, როგორც ჩანს, სავსებით გადაგვარდა ამ პერიოდში, ხოლო მეფის ხელისუფლების ცენტრალიზაცია საბოლოოდ განმტკიცდა. წინასწარმეტყველი ელიაჰუ ვერ ურიგდება ამ მოვლენას. იგი მეფეს უცხადებს მტკიცე პროტესტს. ის მრისხანე სიტყვით მიმართავს ახავს: ასე ამბობსო უფალი: – „(კაცი) მოკალი და იმკვიდრებ კიდეც?.. სადაც ძაღლები ლოკავდნენ ნავოთის სისხლს, იმ ადგილას შენ სისხლსაც ალოკავენ ძაღლები“. ელიაჰუს ეს სიტყვები, საუკუნეებში ლოზუნგად ჟღერდა იმ მამაც მებრძოლთათვის, რომელნიც სიცოცხლის ფასად იცავდნენ სამართლიანობას და სასტიკად გმობდნენ თვითნებობას.

ფრიად შესაძლებელია, რომ ელიაჰუ წინასწარმეტყველის მოღვაწეობის ეს ასპექტი გარდაიქმნა ურისხველობის, სათნოებისა და მშვიდობისმოყვარეობის ეტალონად, მესიანური ერისა და მსოფლიოს გარდაქმნის მომასწავებლად, როგორც ამას წარმოსახავს მისი შემდგომი ტრადიცია.

ელიაჰუს მოწაფე და თანამიმდევარია წინასწარმეტყველი ელიშა, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ მოღვაწედ გვევლინება. იეჰუს გამეფება და ახავის დინასტიის მოსპობა განხორციელდა მისი უშუალო მონაწილეობით. იეჰუს და მისი ძის იეჰოახაზის მეფობის დროს, ისრაელი აღმოჩნდა მკვეთრი პოლიტიკური დაცემის მდგომარეობაში. ამის პარალელურად წინასწარმეტყველურმა მოძრაობამ განიცადა მკვეთრი კრიზისი, რომელმაც ამ უკანასკნელის შესუსტება კი არა, არამედ მისი გაძლიერება განაპირობა.

ელიშა და სხვა წინასწარმეტყველები ერთგულებას ამჟღავნებდნენ იეჰუსადმი. მას არ აკლებდნენ შემწეობას და დახმარებას არამეული სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგიერთი გადმოცემა თვით ელიშას მიაწერს გამარჯვებას არამეელებზე და ისრაელის „გადარჩენას“. იეჰუს გარდაცვალების შემდეგ, ელიშა, მისი მემკვიდრეები და თანამიმდევრები ერთგულად მიჰყვებოდნენ მის მიერ გაკვალულ გზას. იეჰუს შვილიშვილის შვილმა იაროვამ მეორემ, რაჟამს დაიპყრო დამასკო და დაამარცხა არამეელნი, ამ მოვლენებში ხალხმა იხილა ელიშას წინასწარმეტყველურ წარმოსახვათა განხორციელება. სამეფო დინასტიისადმი ერთგულებამ და სასახლისადმი სიახლოვემ, ამ ჯგუფის წინასწარმეტყველნი, დროთა განმავლობაში, გარდაქმნეს სამეფო კარის წინასწარმჭვრეტებად და გამოიწვიეს მათი გადაგვარება. ამ მომენტში სცენას ეუფლებიან ახალი წინასწარმეტყველური მოძრაობის წარმომადგენლები.

იაროვამ მეორის პერიოდში მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობა. პირველი „წერითი“ წინასწარმეტყველი ამოსი, როგორც ასი წლის წინ ელიაჰუ, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს უსამართლობას და იცავს ჩაგრულთა უფლებას. მაგრამ მისი ბრძოლა ატარებს სხვა ხასიათს და იღებს სხვა ფორმას. უწინარეს ყოვლისა, ამოსის და მისი კატეგორიის შემდგომ წინასწარმეტყველთა ქადაგებაში, მსოფლმხედველობასა და მოღვაწეობაში დომინირებულია სოციალური და ეთიკური ასპექტები: – „მე არ ვარ წინასწარმეტყველი და არც ძე წინასწარმეტყველის – აუწყებს ამოსი, – მე ვიყავი მწყემსი და ვკრეფდი სიკომოროს“. აღორძინებული სოციალურ-რევოლუციური წინასწარმეტყველური მოძრაობის ფუძემდებელი – ამოსი, ერთი მხრივ, ამ სიტყვებით, ხაზგასმით აღნიშნავს თავის წარმოშობას საზოგადოების ქვედა ფენებიდან, ხოლო მეორე მხრივ ემიჯნება „პროფესიონალურ“ წინასწარმეტყველებს, რომლებიც გარდაიქმნენ დიდებულთა წრის და სამეფო კარის წარჩინებულთა განუყოფელ ნაწილად.

ამოსის მიერ ნაუწყები პრინციპი, იეჰუდას სამეფოსადმი, წარმოჩნდა არა მარტო ნოვატორულად, არამედ წარმოისახა მთელი ძველი აღმოსავლეთის მსოფლმხედველობასთან მკვეთრ დაპირისპირებულობად. ეს პრინციპი შეიცავს იმას, რომ სოციალური სამართლიანობა და კანონიერების მკაცრი დაცვა, ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობის საფუძველია. სახელმწიფოს, რომელშიც თვითნებობა გამგებლობს, მეფური ანდა ჩინოვნიკური, სადაც უმწეონი მდიდარ-დიდგაროვნების მიერ იჩაგრებიან, არ გააჩნია არსებობის უფლება და განწირულია გარდაუვალი დაცემისათვის. ამიტომ იაროვამ მეორის სამეფოს დამხობა არს უთუო.

ისრაელი ხალხი, – ღვთის რჩეული ხალხია, და ეს რჩეულობა, ამოსის სიტყვებით, მას აკისრებს სერიოზულ მორალურ პასუხისმგებლობას. ამ მოვალეობისაგან გადახრა იწვევს გარდაუვალ სასჯელს: – „მხოლოდ თქვენ გცანით მთელი ქვეყნის მოდგმათა შორის, ამიტომაც მოგკითხავთ ყველა თქვენს დანაშაულს“. აღორძინებისაკენ მიმავალ გზას ამოსი როდი ხედავს ტაძარსა და მსხვერპლის შეწირვაში, არამედ მართლმსაჯულებასა და ლმობიერებაში: „შეიძულეთ ბოროტი და კეთილი შეიყვარეთ; სამართალი დაამკვიდრეთ კარიბჭეში, ეგების შეიწყალოს უფალმა, ლაშქართ ღმერთმა, იოსეფის შთენილი“ (5, 15). „რომ აღავლინოთ აღსავლენები და თქვენი ძღვენები, აღარ ვინებებ, არ შევხედავ სამშვიდობო მსხვერპლს და ნასუქალ ფურ-კამეჩს“ (5, 22). „წყალივით გადმოდინდეს მართლმსაჯულება, ხოლო სიმართლე დაუშრეტელი ნაკადულივით“ (5, 24).

ამოსის იდეები განავითარა იეჰუდას უდიდესმა წინასწარმეტყველმა – იეშაიამ. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო უზიას მეფობის მიწურულში. ის იყო შომრონის დაცემისა და იეჰუდა-ასირიის უთანასწორო ბრძოლის მოწმე. იეჰუდას სამეფო მაშინ განიცდიდა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისს, ხოლო ტიგლატ პალასარ III-ის ასირია, სულ ახალ ქვეყნებს იპყრობდა, აფართოებდა თავის სამფლობელოს და იქმნებოდა დიდ იმპერიად.

სწორედ იმ დროს, რაჟამს ასირია აწარმოებდა ულმობელ, სასტიკ, დამანგრეველ და დაპყრობით ომებს, იეშაია აუწყებდა სამომავლო საყოველთაო მშვიდობას და სამართლიანობის საბოლოო ზეიმს წინასწარმეტყველებდა: – „აღარ აღმართავს ერი ერზე მახვილს და აღარ ისწავლიან ომს“ (იეშაია 2, 4). „სიმართლით განსჯის ბეჩავ უმწეოს, სისწორით განიკითხავს ქვეყნის თვინიერთ, შემუსრავს მიწას თავისი კვერთხის პირით და თავის ბაგეთა ქარით ბოროტეულს მოაკვდინებს“ (11, 4). იეშიას სწამს, რომ საყოველთაო მშვიდობის იდეა გამოწიაღდება იერუშალაიმიდან, ხოლო ხალხების ჭეშმარიტი მსაჯული მოგვევლინება ბიბლიური მეფე დავიდის სახლეულიდან. მომავლის ამ წარმოსახვაში შერწყმულ იქნა წინასწარმეტყველის ერთიანი, განუყოფელი უნივერსალური მსოფლმხედველობა და ეროვნული თვითშეგნება. ამოსისეული თანმიმდევრობით იეშაია კატეგორიულად უარყოფს მსხვერპლშეწირვის მომნანიებელ ძალას, მასზე იმედს რომ ამყარებს თორის სოციალურ კანონთა დამრღვევი არისტოკრატია, და მათ უპირისპირებს, როგორც ჭეშმარიტი ღვთისმოსაობის უმაღლეს გამოვლენას, სამართლიანობისა და ადამიანურობის კანონთა დაცვას. თავისი მჭერმეტყველების მთელი ძლევამოსილებით იგი თავს ესხმის ბიწიერ მსაჯულ-მექრთამეებს, სამეფო კარის დიდებულებს და მოხელეებს, რომელნიც ავიწროებენ უმწეოებს და ღარიბ-ღატაკებს: ის გმობს სამეფო კარის „წინასწარმეტყველებს“, რამეთუ ისინი ქადაგებენ ხელისუფალ-მოძღვართათვის, რომლებმაც დაივიწყეს თორის მცნებანი, მითითებანი, მათ რომ ამახინჯებენ მდიდართა და ძლიერთა საამებლად. იეშაია უცხადებს სასტიკ, უკომპრომისო ბრძოლას იერუშალაიმის უმაღლესი წოდების ცინიკურ ნიჰილიზმს, რამეთუ ისინი თავს მიიჩნევენ ზემდგომ არსად და რაობად ნებისმიერი კანონის მიმართ.

მომავლის წინასწარმეტყველური წარმოსახვა თავის აპოგეას აღწევს იეშაიას წიგნის მეორე თავში: დადგება სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის სრულქმნილი ზეიმი, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, – „დამდაბლდება ადამიანის მაღალი მზერა და კაცთა მედიდურობა დამცირდება, მხოლოდ უფალი იქნება მაღალი იმ დღეს!“ (იეშაია 2, 11). „და პირისაგან მიწისა მაშინ აღიგვება კერპთაყვანისმცემლობა“.

იეშაია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მეფისა და მის შინაკაცთა პოლიტიკას. მისი სიტყვებით, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ „ცხენებით გავიქცევითო და მარდად ავმხედრდებითო“ (იეშ. 30, 16), „და ემყარებოდნენ თვითნებობასა და სიცრუეს“ (30, 12). მისი მიდგომა, უწინარეს ყოვლისა, განპირობებული იყო შეგნებით, რომ სამხედრო სფეროში გამალებული საქმიანობა იეჰუდას განარიდებდა სოციალური რეფორმებისაგან და ზნეობრივი გაუმჯობესების ცდისაგან. ის ამიტომ მოგვევლინა ოპოზიციონერად ანტიასირიული კოალიციისა, რომელიც აჯანყებისაკენ ისწრაფვოდა. ასეთი გააზრება თავის მხრივ, ფესვს იდგამდა ებრაელი ხალხის განსაკუთრებულობის რწმენაში, რომელიც მსოფლიო ხალხების წინაშე ვლინდებოდა ნიმუშად სამართლიანობისა და მორალის უმაღლეს იდეალთა რეალობად გარდასახვისათვის. ებრაელი ხალხის სულიერ-მორალურ საფუძვლებში ჭვრეტდა რა იმანენტურ არსს, იეშაია უარყოფდა სიმძიმის ცენტრის გადატანას სამხედრო ინტერესების სფეროში. იგი როდი მოუწოდებდა საომარი ეტლებისა ცხენ-ბედაურების რაოდენობის გამრავლებისაკენ, როგორც ეს სურდათ გავლენიან მმართველ წრეებს, პირიქით, მისი ქადაგება შეუნელებლად ჟღერდა ცხოვრების სულიერი ასპექტების გაღრმავებისათვის.

დამახასიათებელია, რომ იეშაია ეკუთვნოდა რა იერუშალაიმის საზოგადოების პრივილეგირებულ წრეებს, გამოდიოდა ხალხთა მასების ქომაგად. მიმართავს-რა მსაჯულებს, იგი ბადებს კითხვას: – „რად თრგუნავთ ჩემ ხალხს და ჩაგრავთ ბედკრულებს?“ (თავი 3, 15).

ასირიელთა წინააღმდეგ ხიზკიას ამბოხების მზადების პერიოდში (ჩვ. ერ. 705-701 წ. წ.) და თვით ამბოხების დროს იეშაია, როგორც ჩანს, განერიდა საზოგადო მოღვაწეობას. მაგრამ კრიტიკულ მომენტში, რაჟამს სანხერიბმა გაანადგურა სამხრეთ იეჰუდა, ალყა შემოარტყა იერუშალაიმს და მას განადგურების საფრთხე შეუქმნა, იეშაია კვლავ იმოსება ძალებით და სიმხნევით. თავისი მგზნებარე სიტყვით, რომელიც აღსავსე იყო წმინდა ქალაქის უძლეველობის და გადარჩენის რწმენით, იგი ამხნევებდა მეფეს და ალყაშემორტყმულთ. იეშაია შეუპოვრად, უდრეკად ღაღადებდა, რომ ასირიის მეფე დატოვებს იეჰუდას: – „აჰა, მივუვლენ (შემაშფოთებელ) სულს და გაიდებს ამბავს და თავის ქვეყანას დაუბრუნდება. მისივე ქვეყანაში დავამხობ მახვილით“ (თავი 37, 7).

გაგრძელება იქნება

ისრაელის ამბები

1 სექტემბერს, ახალი სასწავლო წელი ისრაელის 4.400 სკოლაში დაიწყო.

სკოლის კარი დღეს პირველად შეაღო 125 ათასმა პირველკლასელმა.

წელს მოსწავლეების საერთო რაოდენობა 1.558.000 შეადგენს. მათ 61.400 კლასში გაანაწილებენ. სასკოლო პროგრამის ათვისებაში კი მოსწავლეებს 134.000 პედაგოგი დაეხმარება.

უკანასკნელი წლების მანძილზე პირველად, ახალი სასწავლო წელი პროფკავშირების მუქარისა და გაფიცვების გარეშე დაიწყო.

ამ სასწავლო წელს განათლების სამინისტრო შეეცდება მაღალ კლასებში დანერგოს რეფორმა „ოზლე-თმურა“, რომელიც პედაგოგებისთვის (50%-ზე ზემოთ) ხელფასების მომატებას, 40 სათიან სამუშაო კვირაზე გადასვლასა და მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მეცადინეობებს ითვალისწინებს.

აგვისტოს შუა რიცხვებში ამ შეთანხმებას ხელი 50-მა სკოლამ მოაწერა. სავარაუდოდ დღეიდან ამ რეფორმას სხვა სასწავლო დაწესებულებებიც შეუერთდებიან. თუმცა გაზეთ „ჰაარეც“-ის ცნობით, სხვა სკოლებმა პედაგოგების ხმების საჭირო რაოდენობა ჯერ ვერ შეაგროვეს, რადგან მასწავლებლების უმრავლესობა თვლის, რომ დატვირთვის დონე გაზრდილი ხელფასების არაპროპორციულია.

პირველ საგაზაფხულო არდადეგებამდე კი თვეზე ნაკლები დრო რჩება. 28 სექტემბერს, ისრაელი ებრაულ ახალ წელს როშ ჰა-შანას აღნიშნავს და ბავშვებს კვლავ არდადეგები დაეწყებათ.

* * *

ისრაელის ტელევიზიის მე-10 არხის ეთერით, ებრაული წარმომავლობის ამერიკელი მულტიმილიონერის დენიელ ევრაჰამის ინტერვიუ გადმოიცა.

ევრაჰამმა აღიარა, რომ მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც ისრაელში მიმდინარეობს, მან დააფინანსა.

იგი აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს დემონსტრანტებს, რადგან თვითონ მშვიდობის მომხრეა და დასახლებების წინააღმდეგ გამოდის. ბიზნესმენის აზრით, ისრაელის მოქალაქეების ცხოვრების დონის ასამაღლებლად, ყველაზე საუკეთესო საშუალება, იუდეასა და სამარიის დასახლებების ლიკვიდირება და ულტრაორთოდოქსთათვის დაფინანსების შეწყვეტაა.

ევრაჰამი მხარს უჭერს ისრაელის პოლიტიკის მემარცხენე ბანაკს. აღსანიშნავია, რომ ადრე მის მიერ შემოწირული თანხებით, შიმონ პერესისა და ეჰუდ ბარაკის წინასაარჩევნო კამპანიები დაფინანსდა.

* * *

გაეროს მიერ შექმნილი პალმერის კომისია, რომელიც ფლოტილია „Free Gaza“-ს დაკავების დეტალებს იძიებდა, მიიჩნევს, რომ ხომალდ „MAVI MARMARA“-ს დაკავებისას, ისრაელის კომანდოსი, მგზავრების მხრიდან გამძაფრებულ და ორგანიზებულ წინააღმდეგობას წააწყდა, რის გამოც იძულებული გახდა თავდაცვის მიზნით, ძალა გამოეყენებინა.

ამავდროულად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თავდამსხმელთა ნეიტრალიზაციის მიზნით, ისრაელის სამხედროების მიერ გამოყენებული მეთოდები „გადამეტებული და გაუმართლებელია“. 9 ადამიანის დაღუპვას ისინი „მიუღებელს” უწოდებენ, გადარჩენილი მგზავრების მიმართ სამხედროების დამოკიდებულება კი მათი შეფასებით, „დამამცირებელია“.

პარალელურად, ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ ისრაელის მიერ ღაზას სექტორზე დაწესებული ბლოკადა კანონიერია, რადგან ებრაული სახელმწიფო იძულებულია „წინ აღუდგეს ძალადობას, რომელსაც კრიმინალური დაჯგუფებები მიმართავენ“.

პალმერის კომისია მწვავედ აკრიტიკებს ფლოტილიის ორგანიზატორებს, რომლებმაც აღნიშნული კომისიის აზრით, „ბლოკადის გარღვევის უპასუხისმგებლო მცდელობა განახორციელეს“. ასევე გამოთქმულია სერიოზული შიში ორგანიზაცია „IHH“-ის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამ აქციის უკან სწორედ აღნიშნული ორგანიზაცია იდგა.

პათოლოგიურ-ანატომიური ექსპერტიზის შედეგებზე დაყრდნობით, დოკუმენტში წერია, რომ „MAVI MARMARA“-ს ბორტზე დაღუპულებს მრავლობითი ცეცხლსასროლი ჭრილობები აღენიშნებოდათ, თუმცა ექსპერტები იქვე დასძენენ, რომ ისრაელის სამხედროები არახელსაყრელ პოზიციებზე იმყოფებოდნენ და იძულებულები იყვნენ საკუთარი სიცოცხლე დაეცვათ.

ამ ინფორმაციის გავრცელებამდე რამდენიმე საათით ადრე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ ისრაელი ვალდებულია ხომალდ „MAVI MARMARA“-ს ბორტზე დაღუპული თურქეთის 9 მოქალაქის გამო ბოდიში მოიხადოს.

ამასთან, დავუთოღლუ მოითხოვდა, რომ ისრაელს ბოდიში პალმერის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე მოეხადა.

მისი თქმით, ისრაელის მხარემ რამდენჯერმე განაცხადა, რომ კონსესუსი მიღწეულია და ბოდიშსაც მოიხდის, თუმცა ბოლო მომენტში კოალიციაში შექმნილი პრობლემების გამო, უკან იხევდა.

თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ანკარა მზადაა გადამჭრელ ზომებს მიმართოს: „თურქეთი დააწესებს სანქციებს, რომელთა არსიც კარგადაა ცნობილი, როგორც ისრაელისთვის, ისე მსოფლიო თანამეგობრობისთვის“ - განაცხადა დავუთოღლუმ ბალკანეთის ქვეყნებში ვიზიტის დროს.

შეგახსენებთ, ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თურქეთის ხელისუფლება მზადაა ისრაელთან ყველა სახის ეკონომიკური თანამშრომლობა გაწყვიტოს.

* * *

ოფიციალურმა ანკარამ ისრაელის ელჩი გამოაძევა და თავდაცვის სფეროში ისრაელთან თანამშრომლობა შეწყვიტა.

თურქეთის ხელისუფლებამ ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობები საელჩოს მეორე მდივნის დონემდე შეამცირა და ისრაელის ელჩი გაბი ლევი ანკარადან გამოაძევა.

სხვათა შორის, ლევის, კადენცია ისედაც უმთავრდებოდა, თურქეთის ელჩი ისრაელში კი სამშობლოში ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გაიწვიეს.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთი ღაზას სექტორის საზღვაო ბლოკადას კანონიერად არ აღიარებს.

შეგახსენებთ, გაეროს ეგიდით შექმნილი პალმერის კომისიის ანგარიშში, რომელიც ფლოტილია „Free Gaza“-ს დაკავების დეტალებს იძიებდა, აღნიშნულია: - ისრაელის მიერ ღაზას სექტორზე დაწესებული ბლოკადა კანონიერია, რადგან ებრაული სახელმწიფო იძულებულია „წინ აღუდგეს ძალადობას, რომელსაც კრიმინალური დაჯგუფებები მიმართავენ“.

დავუთოღლუმ ასევე განაცხადა, რომ თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, გაყინულია თავდაცვის სფეროში ისრაელთან გაფორმებული ყველა კონტრაქტი და შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის ძირითადი მსხვილი პროექტები, რომლებზეც თურქეთში ისრაელის საწარმოები მუშაობდნენ, უკვე დასრულებულია.

შეგახსენებთ, რომ ბოდიშის მოხდის თაობაზე, თურქეთის ულტიმატუმის ვადა პარასკევს საღამოს იწურებოდა. „Free Gaza“-ს დაკავებასთან დაკავშირებით, გაეროს კომისიის დასკვნის გამოქვეყნება. ამ დროისთვისაა დაგეგმილი, თუმცა მას შემდეგ, რაც პალმერის კომისიის დასკვნის დიდი ნაწილი გაზეთ „New York Times“-ში გამოქვეყნდა, დავუთოღლუმ პარიზსა და პოლონეთში დაგეგმილი ვიზიტები გააუქმა და სასწრაფოდ ანკარაში დაბრუნდა.

დაახლოებით ერთი თვის წინ, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა: „ამ ოპერაციაზე ჩვენი ჯარისკაცები სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით გავგზავნეთ. დღემდე ერთ-ერთი სამხედრო, რომელიც აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილეობდა, პარალიზებულია. და თუ ახლა თურქეთს ბოდიშს მოვუხდით როგორ შევხედოთ თვალებში ამ ადამიანებს? - ეს გამანადგურებელი იქნება.

ცხადია, რომ თურქეთს არანაირი მობოდიშება არ შეაცვლევინებს პოზიციას იგივე არაბული პალესტინის აღიარების თაობაზე, რომლის შესახებაც გაერო უახლოეს მომავალში იმსჯელებს. მობოდიშება ასევე არ შეცვლის ანკარის დამოკიდებულებას თეირანთან, „ჰეზბოლასთან“ ან „ჰამასათან“ მიმართებაში - აცხადებდა ლიბერმანი.

დღეს ისრაელის წამყვან არხებზე ანკარას მუქარის კომენტირებისას, პოლიტიკოსები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ თავისი სამხედროების კანონიერი ქმედებების გამო ისრაელმა ბოდიში არ უნდა მოიხადოს. ამასთან, ყველა აცხადებს, რომ თურქეთთან ურთიერთობების დაძაბვა დროებითია.

თურქეთის ამ გადაწყვეტილებას უკვე მიესალმა ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასი“. ოფიციალური იერუსალიმი კი დავუთოღლუს განცხადებაზე, ჯერ-ჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

* * *

პალესტინელებმა დამოუკიდებლობის აღიარებისთვის გაეროს წევრი 118 ქვეყნის მხარდაჭერა მოიპოვეს პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა, პალესტინურ ფრაქციებს მოუწოდა დაივიწყონ უთანხმოების შესახებ და პალესტინის სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარების მიზნის გარშემო გაერთიანდნენ. მან თხოვნით მიმართა სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე პალესტინელ დიპლომატებს, რომ ამ იდეის პოპულარიზაციის მიზნით, ძალისხმევა არ დაიშურონ და სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, პალესტინის ცალმხრივ აღიარებას მიაღწიონ.

გარდა ამისა, აბასმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ პალესტინელ ემიგრანტებს მოუწოდა, საინფორმაციო პროპაგანდა აწარმოონ ყველა თემის წარმომადგენლებთან, მათ შორის საზღვარგარეთ მცხოვრებ ებრაელებთანაც კი. - იტყობინება პალესტინური სააგენტო „მაან“-ი.

ეს განცხადება აბასმა სტამბულში, პალესტინის დიპლომატებთან საკონსულტაციო შეხვედრის დროს გააკეთა. როგორც აბასი აცხადებს, ამ დროისათვის, მას მსოფლიოს 118 ქვეყანა დაპირდა, რომ რეზოლუციას პალესტინის სახელმწიფოს აღიარების შესახებ მხარს დაუჭერს.

აბასი ასევე აცხადებს, რომ არაბული სახელმწიფოების წარმომადგენლები, შიდა პრობლემების, კერძოდ, მათ ქვეყნებში მიმდინარე მასობრივი ანტისამთავრობო გამოსვლების მიუხედავად, პალესტინის დამოუკიდებლობას მხარს უჭერენ და ამ მხრივ, მათი პოზიცია „დამაიმედებელია“.

პალესტინის ადმინისტრაციის თავმჯდომარის თქმით, „ჰამასთან“ მოლაპარაკებებისას, გარდამავალი მთავრობის ფორმირება გადაწყდა, რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატებისა და ტექნოკრატებისგან დაკომპლექტდება და მასში პალესტინური ფრაქციები არ შევლენ. ახალი მთავრობის მიზანი კი, როგორც აბასი ამბობს, ღაზას სექტორის რეკონსტრუქცია, ასევე მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება იქნება. ამავდროულად, აბასი „ჰამასს“ მოუწოდებს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში კომპრომისზე წავიდეს.

* * *

გაეროს სხდომაზე პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარების მხარდაჭერის პირობას 118 სახელმწიფო იძლევა.

პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მაჰმუდ აბასმა პალესტინურ ფრაქციას მოუწოდა დაივიწყოს უთანხმოება და გაერთიანდეს საერთო მიზნის მისაღწევად: პალესტინის სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებისთვის. მან სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პალესტინის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მოუწოდა გააქტიურდნენ, რათა სექტემბერში დაგეგმილ გაეროს სხდომაზე პალეტინის სახელმწიფოს აღიარებას მიაღწიონ.

ამასთანავე, აბასმა სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ პალესტინელ ემიგრანტებსაც მოუწოდა ინფორმაციული პროპაგანდისკენ, რათა პალესტინის სახელმწიფოს აღიარებას მაქსიმალურად მეტი მხარდამჭერი ჰყავდეს აცხადებს newsru.co.il.

აბასმა განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის გაეროს რეზოლუციაზე მხარის დაჭერის პირობა 118 სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენელმა დადო. ის ასევე აცხადებს, რომ არაბული სახელმწიფოების წარმომადგენლები პალესტინის დამოუკიდებლობას უჭერენ მხარს. მიუხედავად მათი შიდა პრობლემებისა და არეულობისა. არაბული სახელმწიფოების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი და შეუცვლელია.

ქ ი თ ე ც ე

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

კვირის საკითხავ თავში „ქი თეცე“ წერია: „იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს ორი ცოლი ჰყავს – ერთი საყვარელი და მეორე – ათვალწუნებული, და ორივესგან ბავშვები შეეძინება, მაგრამ პირველშობილი ვაჟი ათვალწუნებული ცოლისაგანაა“ მას საკუთარი ქონებიდან ორმაგი წილი მაინც უნდა მისცეს (სხვა ვაჟებისაგან განსხვავებით). თორის უდიდესი კომენტატორი აბარბანელი გვეუბნება: „თორა არ ამბობს – თუ შეეძინება პირველშობილი ათვალწუნებულ მეუღლეს, არამედ ამტკიცებს, რომ სწორედ მას შეეძინება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გამჩენი ყოველთვის მათ მხარეზეა, ვისაც ავიწროვებენ, ვისაც საქმე ცუდად აქვს. ჩვენი დიდი დედების რახელისა და ლეას – იაყაკობის ცოლების შემთხვევაშიც ასევე მოხდა: „და დაინახა გამჩენმა, რომ ლეა არ უყვართ და გაუხსნა მას საშო“. გამჩენმა ნუ ქნას, ვიფიქროთ ისე, რომ იაყაკობს სძულდა ლეა. უბრალოდ, მას რახელი უფრო მეტად უყვარდა. ოჯახშიც ხომ ასეა, თუ ერთი ბავშვი სხვა ბავშვებზე მეტად უყვართ, დანარჩენები თავს ისე გრძნობენ, თითქოს ისინი არ უყვართ. ლეაც თავს დაჩაგრულად გრძნობდა, რადგან ის იაყაკობს ნაკლებად უყვარდა და არავითარ შემთხვევაში არ სძულდა. ამას გამჩენი მაინც ხედავს და, სწორედ, ლეა გაუჩენს იაყაკოვს იმდენ ვაჟს, რამდენსაც ყველა დანარჩენი ცოლი ერთად. მან იაყაკოვს ექვსი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი შესძინა.

იერუშალაიმის თალმუდში წერია: გამჩენმა ებრაელ ხალხს სამი შესანიშნავი თვისება უბოძა საჩუქრად: „ებრაელები მოწყალენი არიან, სირცხვილის გრძნობა აქვთ და სიკეთეს სიკეთითვე პასუხობენ“. ჩვენი ბრძენები გვასწავლიან, რომ ადამიანი, რომელსაც ეს სამი თვისება გააჩნია, ნამდვილი ებრაელია, ხოლო ის, ვინც თავხედობით ან სისასტიკით გამოირჩევა, ადამიანები სძულს და არავითარი სურვილი არა აქვს მათთვის სიკეთე აკეთოს – ეჭვია, რომ ქაშერი ებრაული ოჯახიდან იყოს, რადგანაც მას ებრაელი ხალხისათვის დამახასიათებელი თვისებები არ გააჩნია. ამ მიზეზის გამო მეფე დავიდმა გივონიელებს ნება არ დართო ებრაელობა მიეღოთ. მან ამ ხალხის სითამამე და უკომპრომისობა დაინახა და ის, რომ მათ შაულის შვილები არ დაინდეს. თუმცაღა, თავის დროზე ებრაელებმა ისინი შეიბრალეს, არ დახოცეს (ამის შესახებ წიგნი „შმუელი“ გვიამბობს).

კვირის ამ საკითხავ თავში წერია: „ არ შევა ამონის და მოაბის წარმომადგენელი გამჩენის თემში იმის გამო, რომ ებრაელებს პური და წყლით არ შეხვდა ეგვიპტიდან გამოსვლისას, და იმის გამო, რომ ბილყამი, ბეყორის ვაჟი დაიქირავა შენს (ებრაელთა) დასაწყევლად“.

ჩვენი წმინდა თორა მცნებას გვაძლევს თავი შორს გვეჭიროს და არ მივიღოთ (არ მივცეთ გიური) ორი ხალხის – ამონისა და მოაბის (დღეს ეს ხალხები არ არსებობენ) წარმომადგენლები. რატომ? იმის გამო, რომ მათ სისასტიკე გამოიჩინეს და პური და წყალი არ გაუნაწილეს ებრაელებს. და კიდევ იმისათვის, რომ ბილყამს ებრაელთა დასაწყევლად დიდი თანხა გადაუხადეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ხალხი ჩვენი სისხლით ნათესავები არიან (ისინი ლოტის შთამომავლები არიან. ლოტი კი ავრაჰამმა გადაარჩინა ოთხი მეფის ომის დროს. გაწეულ სიკეთეზე მათ სიკეთით უნდა მიეგოთ), გამჩენმა ისინი ჩამოგვაშორა. სწორედ ამის შესახებ გემარაში — „სანჰედრინი“, რაბი იოხანანი გვეუბნება, თუ როგორ შეიძლება შენი ერთი საქციელის გამო მთელს შენს შთამომავლობაზე იქონიო გავლენა. შევადაროთ ერთმანეთს ამონელებისა და მოაბელების საქციელი, რომელმაც ისინი მათი სისხლით ნათესაობის მიუხედავად ებრაელ ხალხს ჩამოაშორა და, ითროს ქმედება, რომელმაც მიდიანში გაქცეულ მოშე რაბეინუს ტრაპეზი შესთავაზა. მან ქალიშვილებს უთხრა: „დაუძახეთ და ის პურს მიირთმევს“. ითრო და მისი ოჯახი არა მარტო გამჩენის თემში შევიდნენ, არამედ მისი შთამომავლები იერუშალაიმში ებრაული უმაღლესი საკანონმდებლო კრების – სანჰედრინის წევრები იყვნენ.

მოაბისა და ამონის ხალხს ორი მიზეზის გამო არ შეუძლიათ გამჩენის თემის წევრები გახდნენ: 1. მათ ებრაელებს პური არ უწილადეს და 2. ებრაელთა დასაწყევლად ბილყამი დაიქირავეს. ისმის კითხვა: მეორე მიზეზი ხომ უფრო მძიმეა? თუ ვინმემ გულმოწყალება არ გამოიჩინა, არც ისე დიდი ცოდვაა იმასთან შედარებით, რომ ხალხის დასაწყევლად სპეციალურად დაიქირავო ბილყამი, ანუ აქტიური ბოროტება ჰქმნა. მაგიდი დუბნოდან ამ შეკითხვას იგავით პასუხობს: ერთი მდიდარი იეშივაში სასიძოს ასარჩევად მივიდა. მას თორის ბრძენი ესაჭიროებოდა. იეშივის რაბინმა ძალზე ნიჭიერი მოსწავლე უჩვენა. მამასაც და ქალიშვილსაც ის ძალიან მოეწონათ და სულ მალე ოჯახის შექმნის პირობებს ხელი მოაწერეს. მდიდარ ებრაელს სიძისათვის ბინა უნდა მიეცა და მისი ოჯახი გამოეკვება. თაფლობის თვის დამთავრების შემდეგ მდიდრის ქალიშვილი ქმარს შეუჩნდა. მას ძალიან უნდოდა მოგზაურობა და აფრიკის მთების, ამერიკის ჩანჩქერებისა და საფრანგეთის მუზეუმების ნახვა. ქმარი თორას სწავლობდა და მოცდენა არ სურდა. ქალიშვილმა მამას მიმართა, მაგრამ სიძე მანაც ვერაფრით დაიყოლია. არც საკვების მიწოდების შეწყვეტამ უშველა. მაშინ სიმამრმა გადაწყვიტა სიძის დასაწყევლად ჯადოქრისათვის მიემართა, რასაც მისი სიკვდილი მოყვებოდა. სიძემ ეს შეიტყო, იეშივაში გაიქცა და ყველაფერი რაბის უამბო. სიმამრი, იმის გამო, რომ სიძე გაიქცა, ჯადოქართან აღარ მივიდა. თუ სიძე ისეთ ადგილას მოკვდებოდა, რომ მის ნეშტს ვერ იპოვნიდნენ, მაშინ მისი ქალიშვილი ეგრეთ წოდებულ „თივის ქვრივად“ იქცეოდა (თუ ქალს ქმარი დაეკარგა და არ იცის ცოცხალია ის თუ მკვდარი, მას გათხოვება არ შეუძლია). მაგრამ მან მალე შეიტყო, რომ სიძე იეშივაშია, მის ხელმძღვანელთან მივიდა და უთხრა: „რაბი, შეხედეთ, სასიძოდ ვინ მირჩიეთ. ის გაიქცა და ჩემი ქალიშვილი მიატოვა.“ „მაგრამ მე გავიგე, რომ შენ მას აღარ კვებავდი“, – უპასუხა რაბიმ. „რას იზამ, მე იმდენი შემოსავალი აღარ მაქვს“ – თავი იმართლა მდიდარმა. „შენ ფული არ გაქვს? მე კი ვიცი, რომ შენი სიძის დასაწყევლად ჯადოქრისათვის რამდენიმე ათასი დოლარის მიცემას აპირებდი. ამისათვის გაქვს ფული, სიძის გამოსაკვებად კი – არა?“

ასევე იყო ამონისა და მოაბის ქვეყნებშიც. მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ ისინი ღარიბები არიან და სხვებისათვის პური არა აქვთ. ამიტომ გამჩენი მათ ეუბნება: „თქვენ ებრაელთა გასამასპინძლებელი პროდუქტები არ გაქვთ, მათ დასაწყევლად დაქირავებული ბილყამისათვის კი უზარმაზარი თანხის გადახდა შეგიძლიათ?“ სწორედ ამიტომაა, რომ თორაში გამჩენი ჯერ პურთან და წყალთან დაკავშირებულ ისტორიას გვამცნობს და შემდეგ ბილყამის შესახებ გვიყვება, ასეთივე პრინციპით მოიქცა იეშივის ხელმძღვანელიც.

ახალი წიგნის პრეზენტაცია

4 სექტემბერს გაიმართა აჰარონ მდინარაძის წიგნის „სამი ლოცვა“ პრეზენტაცია, რომელიც თორის საკითხებს და ყოველდღიურად სამჯერ წასაკითხ სამ ლოცვას ეხება. ნაშრომი ქართულ ენაზეა დაწერილი, რაც ქართულენოვან ებრაელებს თორის გაცნობის უფრო კარგ საშუალებას მისცემს. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ მოშე-ხაიმ კრიხელი, ხახამ იაყაკობ დავითაშვილი, სალოცავ ,,ბეით რახელი“-ს გაბაი იოსებ მოშიაშვილი, აჰარონ ჯანაშვილი და თავად წიგნის ავტორი ხახამ აჰარონ მდინარაძე.

მოშე კრიხელი: ჩვენი ცხოვრების ანალიზს როცა ვაკეთებ ვამჩნევ, რომ ჩემს ცხოვრებაში შემთხვევითი არაფერი მომხდარა. დიდი სირთულეები და დიდი წარმატებები, რაც შემხვდა ყველაფერი გამჩენისგან იყო მოვლენილი. არ არსებობს ებრაელი ადამიანისთვის იმაზე დიდი სიმდიდრე, ვიდრე იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს სწორად საკუთარი სიცოცხლე. მიმაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა კარგად უნდა იცოდნენ თავისი ტრადიციებისა და წესების შესახებ. უნდა იცოდე, თუ როგორ შეასრულო ის მისია, რომლისთვისაც გამჩენმა ამქვეყნად მოგავლინა. ადამიანები, რომლებიც თავის ცხოვრებას თორის სწავლაში ატარებენ, რომელთა ოჯახებიც ბრძნულ კანონებს ეყრდნობა, ისინი უფრო ბედნიერები არიან. ჩვენ — ებრაელებს უფრო მეტი პრაქტიკული ცოდნა გვაქვს, ვიდრე თეორიული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აჰარონ მდინარაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც პატარა წვლილი მაინც შეაქვს ახალგაზრდებისთვის თორის, ებრაული ტრადიციების შესწავლაში.

იაკობ დავითაშვილი: კარგია, როდესაც მსგავსი წიგნი ქართულ ენაზე არსებობს. ლოცვით გამჩენი უფრო გვაძლიერებს. კომენტარები თორის შესახებ, რომელიც ამ წიგნშია განხილული, დიდ ინტერესს იწვევს. ებრაელი მამაკაცი თორას მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა სწავლობდეს. გამჩენი გვეუბნება, თუ ჩემი აღქმა არ გექნება, დღისით და ღამით და თუ შეწყვეტ თორის შესწავლას, მსოფლიოში დაისადგურებს ქაოსი, სამყარო ვეღარ იარსებებს. თორა ეს არის ძირითადი და აუცილებელი მასულდგმულებელი მთელი მსოფლიოსათვის. თუმცა, ორ ადამიანს შორის, ერთმა კარგად თუ იცის თორა, მეორე კი მთელი სულითა და გულით, ცრემლებით ლოცულობს, გამჩენი მეორე მათგანს უფრო სწყალობს. თუ ადამიანი დაუფიქრებლად ლოცულობს და არ იცის გამჩენს როგორ მიმართოს, მაშინ მის ლოცვას აზრი არ აქვს. ამ წიგნის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ იგი ქართულ ენაზეა დაწერილი და მკითხველი ყველაფერს გაიგებს. მართალია, უკეთესია თუ დედანში, ივრითულად მიმართავ გამჩენს, მაგრამ იგი ყველა ენას გებულობს და ჩვენს ნათქვამსაც ყველა ენაზე ისმენს. მინდა ვუსურვო ბატონ აჰარონს დიდხანს ცხოვრება და მშვიდი მოღვაწეობა.

იოსებ მოშიაშვილი: დიდი მადლობა გამჩენს იმისათვის, რომ საქართველოში კიდევ არის ხალხი, ვინც სწავლობს და იმ ნასწავლს შემდეგ გასაგებ ენაზე სხვას გადასცემს. პირველი მე ვიყავი, ვინც ეს წიგნი ნახა. ძალიან დიდი შრომაა მასში ჩადებული. ღმერთმა გააძლიეროს აჰარონი, რომ ყველაფერი რაც ჩაფიქრებული აქვს, ჩვენამდე მოიტანოს. დიდი მადლობა ყველას, ვინც მის გვერდით დგას. ეს არის ჩვენი სიამაყე.

აჰარონ ჯანაშვილი: ადამიანი, როდესაც ამ წიგნს წაიკითხავს, ბევრ რამზე დაფიქრდება. გაანაალიზებს ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. მთელი სულითა და გულით შეისისხლხორცებს დაწერილ სიტყვებს და იგრძნობს მათში ჩაქსოვილ სიბრძნეს. საქართველოში მცხოვრები ებრაელებისთვის ქართულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა ბევრს ნიშნავს, მართალია, ივრითულზე შეიძლება წაკითხვა, მაგრამ ზოგი ამ ენას ვერ ფლობს. ყველა აბზაცი, რასაც ჩვენი რაბები გადაგვითარგმნიან და მოგვაწვდიან, სულ უფრო გაგვაძლიერებს. აჰარონს დიდი მადლობა ამ წიგნისთვის და კიდევ მრავალი მსგავსი წიგნის დაწერას ვუსურვებ.

აჰარონ მდინარაძე: პირველ რიგში ვიტყვი საიდან წამოვიდა წიგნის დაწერის იდეა. ვერასოდეს ვიფიქრებდი, წიგნს თუ დავწერდი. ყოველ ოთხშაბათს ახალგაზრდებთან გაკვეთილების ჩატარების დროს ვთარგმნიდით და ვსწავლობდით თორიდან სხვადასხვა ადგილებს. შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ეს ნათარგმნი ტექსტი წიგნად აგვეკინძა. მომივიდა იდეა, რომ გამეკეთებინა ის სამი ლოცვა, რომელთაც მამაკაცები დღეში სამჯერ ვკითხულობთ. შევეცადეთ, რომ თარგმნილი ყოფილიყო მაქსიმალურად გასაგები ენით, რომ მკითხველს განმარტების მოძებნა აღარ დასჭირვებოდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რაბი ხაიმ ქოენს, რომელმაც ჩაატარა უზარმაზარი სამუშაო და ჩემს მიერ თარგმნილი ნაშრომი შეასწორა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაეცნოს ამ წიგნს, რომ მან თავისი დანიშნულება შეასრულოს.

წიგნის შეძენით დაინტერესებულმა პირებმა, მიმართეთ სალოცავ „ბეით რახელის“ გაბაის – იოსეფ მოშიაშვილს.

ნინო შავაძე

ღვაწლმოსილის გახსენება - ვერა ბაბალიკაშვილი

ვერა ბაბალიკაშვილი სახელოვანი, ალალ-მართალი, შრომისმოყვარე, ტრადიციული ებრაული ოჯახის ღირსეული შვილი, ქუთაისის ებრაული თემის და არა მარტო ებრაული თემის, მთელი ქალაქის ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი გახლდათ.



ქალბატონი ვერა გაბრიელის ასული, ანუ როგორც სიყვარულით ეძახდნენ, „ვერა გავრილოვნა“, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტის დოცენტი, ღირსების ორდენის კავალერი გახლდათ. აქ მან სამოცი წელი იღვაწა; აღზარდა მრავალი სახელოვანი ადამიანი, თანამოაზრე და მიმდევარი. უხვად მოიმკო მის მიერ გაცემული სიკეთის საზღაური – აღიარება, პატივისცემა, დაფასება და სიყვარული...

ყველაფერი კი ასე დაიწყო: საშუალო სკოლის, ქალაქის უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსების – ინგლისური ენის განხრით – წარჩინებით დამთავრების შემდეგ, პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამინდელი უნივერსიტეტი ასე იწოდებოდა) იწყებს მუშაობას. ცოდნის დაუფლების დაუოკებელი ჟინი იპყრობს და აი, ახდენილი ოცნება – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების განყოფილების სტუდენტობა, ოღონდაც ექსტერნად და რაკი ექსტერნად სწავლობდა, ქალბატონი ვერა ლექციების მოსასმენად გამოცდებამდე ორი თვით ადრე, წელიწადში ორჯერ ჩადიოდა თბილისში. ასე გრძელდებოდა ხუთი წლის მანძილზე, უნივერსიტეტდამთავრებულ ქალიშვილს უკვე ხუთი წლის შრომითი საქმიანობის სტაჟი ჰქონდა.

დღითიდღე მდიდრდებოდა მისი ლექსიკა, იხვეწებოდა პედაგოგიური სწავლების მეთოდიკა, მრავლდებოდა მისგან ხელდასამული „ინგლისელები“, პარალელურად იზრდებოდა ლექტორის ავტორიტეტიც.

ბუნებრივია, ქალბატონი ვერას დიაპაზონი გაცილებით მაღალ სტატუსს იმსახურებდა, ვიდრე რიგითი მასწავლებლობა, ან თუნდაც უფროსი მასწავლებლობა გახლდათ. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ინგლისური ენის კათედრის მესვეურთ და არაერთხელ შესთავაზეს, სამეცნიერო მივლინებით ყოფილ საბჭოეთის დედაქალაქში – მოსკოვში გამგზავრებულიყო საკანდიდატო დისერტაციის მოსამზადებლად, მაგრამ მას ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინა ხანდაზმული მშობლების, უმცროსი დებისა და ძმის მიტოვება. იგი ხომ მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი ასული, მათი იმედი და ნუგეში, გზისგამკვლევი იყო.

ქალბატონი ვერა და მისი ოჯახი მაღალი სულიერებით გახლდათ გამორჩეული. ებრაულ ტრადიციებსა და ერის რაობას მას ასწავლიდნენ ბიძამისი – გაბრიელის ძმა, ებრაული თემის მოძღვარი, დიდი რაბი— ისრაელ ბაბალიკაშვილი და ქართულ ებრაული თემის სიამაყე, უნიჭიერესი სემიტოლოგი, ისრაელის ვაჟი – ნისან ბაბალიკაშვილი, რომელიც ქალბატონ ვერას ღვიძლი ძმასავით უყვარდა.

ქალბატონ ვერას ძალიან უყვარდა საქართველო, ქართველობა; ეთაყვანებოდა ქართველთა კაცთმოყვარეობას, ტრადიციებისადმი ერთგულებას და სამშობლოსადმი თავგანწირვას. ამიტომაც არ ეთმობოდა მშობლიური საქართველო და იმის მიუხედავად, რომ მისი უახლოესი ნათესავები ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში ავიდნენ, იგი აქ, საქართველოში დარჩა.

ქალბატონი ვერა დაკრძალეს ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე.

მოსე ბალუაშვილი – ქუთაისის ებრაული თემის თავმჯდომარე,
ლამარა მეგრელიშვილი – ექიმი-გინეკოლოგი,
შალვა ბუზიაშვილი – ექიმი-კარდიოლოგი,
შალვა კირთაძე, მადონა მეგრელიშვილი, ლეილა თანდილაშვილი, ციცინო ბაბუხადია და ქეთევან დეკანოზიშვილი— აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით,
ავთანდილ ნიკოლეიშვილი – საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების პრეზიდენტი, აკადემიკოსი,
ვიოლეტა ბუზიაშვილი – ამავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ჟურნალისტი,
ნესტან კუტივაძე— ამავე საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, პროფესორი.



გამოვიდა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების ჟურნალ „ნოსტალგიის“ 2011 წლის მეათე ნომერი (მთავარი რედაქტორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რედაქტორი-ვიოლეტა ბუზიაშვილი). მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ: ლექსი „შენ აქ ხარ“, ციკლიდან — „პალესტინა, პალესტინა“, ნაწყვეტი შალვა დადიანის რომანიდან „გვირგვილიანების ოჯახი“ — „ბენოია“, ნანა შაბათაშვილი-დავარის ლექსები, ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილი გიორგი ხუხაშვილის შემოქმედების შესახებ, ნესტან კუტივაძის „მე მოველ შენთან! მოვედი შენდა სამსახურად, ჩემო ისრაელ!“, „ადონა ელოი საბაოთ“... (დეკანოზ ექვთიმეს (ჩივაძეს) ესაუბრება დარინა ყურუა), ვიტალი კაპანაძის „ილოს პორტრეტი“, ვიოლეტა ბუზიაშვილის „ჩემი მეგობრები ჩემი განძია“, მანანა არონაშვილის — „ამღერებული სტრიქონები“, სიმონ არველაძის — „ქართველი მოქანდაკე და მისი შეგირდი ებრაელი გოგონა“, შორენა ფხაკაძის — „მაყვალა ფიჩხაძე“, ავთანდილ ნიკოლეიშვილის — „ალიის ორმოცწლოვანი ისტორიის მატიანე“, თამარ ლომთაძის — „შაუმიანი – ებრაელთა უბანი“, ლედი ჯინჭარაძის — „არდავიწყება“, ნინო გოგლიჩიძე-ძიძიგურის — „თვალცრემლიანი გამოგვაცალეს“, დარეჯან ჩხიროძის — „ის რაც ნამდვილია“, მაგული ბასილაძე-მინდიაშვილის —„მეგობრობა კვლავ გრძელდება“, ზურაბ ჯავახაძის — „ქუთაისელი ებრაელი სპორტსმენები“, რუსუდან შამელაშვილი-ზექალაშვილის — „მოგონებანი მამაზე“, ალეკო ძოწენიძის — „სიყრმის მეგობარი-ალბერტ ჩაჩაშვილი“, მაგული გიორგაძის — „ღირსეულად იცხოვრა“, „წერილები ისრაელიდან“, თემურ ძიძიგურის ფოტოგამოფენა საქართველოს ხედები.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი, კონგრესის დიდი მეგობარი

შალვა ცივიონი (წიწუაშვილი)

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლიკა, გივი, სოლომონ წიწუაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გამოჩენილი ქართველი ებრაელი მეცნიერის, ახლო ნათესავისა და მეგობრის, პროფესორ

შალვა ცივიონის (წიწუაშვილის)

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ინგა და რეუვენ ენოხები (ენუქაშვილები) ოჯახით, ციალა იაკობაშვილი ოჯახით, ლუბა ენუქაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე, თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი

შალვა ცივიონი (წიწუაშვილი)

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულისტკივილით აუწყებს მკითხველს, რომ ისრაელში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ქართველ ებრაელთა ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, „მენორას“ ავტორი და მეგობარი, პროფესორი

შალვა ცივიონი (წიწუაშვილი)

ლიანა და ილია მოსიაშვილები, რეზო არენსი (არონაშვილი), ლედი, ისაკ მიხელაშვილები მწუხარებას გამოთქვამენ

ნატაშა ჩხიკვაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გამოჩენილ ქართველ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს.

ნათელა პატარკაციშვილი, ციალა, გურამ ბათიაშვილები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას ჩინებული პიროვნების, მეგობრის

ნატაშა ჩხიკვაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ სასიქადულო ქართველ მსახიობს ბ-ნ რამაზ ჩხიკვაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გამგეობა, თანათავმჯდომარეები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სემ კონგრესის ერთ-ერთ დამფუძნებელს — ფილხაზ აჯიაშვილს მეუღლის —

თინას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი გაბრიელ მირილაშვილი თანაგრძნობას უცხადებს სემ კონგრესის ერთ-ერთ დამფუძნებელს — ფილხაზ აჯიაშვილს მეუღლის —

თინას

გარდაცვალების გამო.

ციალა, ნათელა, ლანა, ბელა, ნანა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები, რუსუდან, მერაბ, ზაზა სარელები (იზრაელაშვილები), კახი, ნონა, იმერი და ხათუნა აჯიაშვილები, ილო წიწუაშვილი, გურამ ხარაზიშვილი, რომან მიხელაშვილი, გია დავარაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ახლო ნათესავს — ფილხაზ აჯიაშვილს მეუღლის

თინას

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003